საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 2 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 223 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 223

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სოსო მელიქიშვილი, დედა ნინო, შვილი კოკი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ტრაგიკულად გარდაცვალებას

**სარა მელიქიშვილისას**

დაკრძალვა სოფ. ბოხვაურში 2 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე. (ნ.—1—1)

შემოქმედის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას სამაგალითო ამხანაგის და საზოგადო მოღვაწის

**სარა მელიქიშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. (ნ—1—1)

შემოქმედის რაიონის სოციალ-დემოკრატიულ კოლექტივი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას პარტიის წევრის და საზოგადო მოღვაწის

**სარა მელიქიშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (ნ—1—1)

წითელი მთის სასკოლო საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს უანგარო მოღვაწის

**სარა მელიქიშვილის**

უდროოდ დაკარგვის გამო. (ნ.—1—1)

ღრმად დამწუხრებული ცოლი ილარიონ. შვილები: ასმათი, მირიან და ლადიკო, ძმა ლევანტი, რძლები: მარიამ და ესმა, ძმის წულები: ილიკო. არჩილ, ვასო, კოლია, მიშა და შალვა გიორგაძეები, დები მატრონე და საშა, სიძეები: ლევან აროშიძე და შალვა სიამაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

**სიმონ მაქსიმელის ძე გიორგაძე**

30 სექტ. ქალ. თფილისში. გამოსვენება მოხდება ბინიდან ოქტომბრის 1 ს ბატარეის ქუჩა № 22 დაკრძალვა სოფელ უჩხობში ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში (გურია). (2557—1—1)

სასტუმრო „ნოეს" (ცენტრ. არტელის წევრები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი

**სიმონ მაქსიმეს ძე გიორგაძე**

რომლის ცხედარს გამოასვენებენ 2 ოქტ. საათის 3 ზე ბატარიის ქ. № 22 თფილისის სადგურზე და წაასვენებენ გურიაში სოფ. ზედა უჩხუბში. (2563—4—1)

მწუხარებაში მყოფნი ძმა ივანე, რძლები: ტერეზი და ლიდა, ძმისწულები: დიმიტრი და ლევანი, ბიცოლა ტერეზი; ბიძაშვილები იაკობ. იოსებ, ვასილი, გუნია, სონა, გოია და აპოლინა ხავთასები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ წლის თავის შესრულების გამო დღეს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

**ევგენია ლუკას ასული ხავთასის**

წირვა დაიწყება დილის 10 ს, პანაშვიდი 12 ს. კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2673—1—1)

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ**

**ვ. რუხაძის ლექსები**

**„ცხოვრების ყვავილები"**

იყიდება—გამოცემა კანტორა „განათლებისა". ფასი 25 მანეთი. გასაყიდათ დაურიგდა „განათლების აგენტებს. (6—3)

## ჩვენი დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ დგას ჩვენს წინაშე, როგორც აუცილებლად გადასაჭრელი პრობლემა. წლინახევრის წინეთ გამოცხადებული ხალხის ნებასურვილი დამოუკიდებელ არსებობის, 10 თვის შემდეგ იგი ერთხმათ დაადასტურა დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მთელი ხალხის მიერ არის არჩეული.

ამ რიგათ საქართველოს ერს ეჭვი არ ეპარება, რომ დამოუკიდებლობა მისი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მაგრამ ვერსალის კონფერენციის მიერ ამის აღიარება დღემდე ვერ მოხერხდა. მსოფლიოს დიდი საქმეებით გართულმა საზავო კონფერენციამ ჩვენი პატარა კითხვისთვის დღემდე მოცალება ვერ იშოვნა. და ჩვენ წინაშე ამ რიგათ ისევ დგას პრობლემა დამოუკიდებლობისა, რაც ერთი მხრით იმედს აძლევს და მადას უძრავს რესტავრაციის მოციქულთ ჩვენზე კბილები ილესონ დაიარაღი ხელარჩუნონ, მაშასადამე ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების საშუალება მოგვისპონ. მიუხედავათ ამისა ჩვენი ცდა მუდამ იქით იყო მიმართული, რომ შინ წესიერება და ნორმალური მდგომარეობა აღგვედგინა, გარეთ კი მეზობლებთან კეთილგანწყობილება დაგვემყარებია.

უნდა აღინიშნოს, ამ მხრით ჩვენმა დემოკრატიამ შედარებით შესამჩნევ შედეგს მიაღწია. მართალია საზღვრების საკითხი დღევანდლამდე საბოლოთ მოწესრიგებული არაა, მაგრამ მისი გადაჭრის გზა უკვე გამოძებნილია. ერთ მეზობელთან—ადერბეიჯანთან, ჩვენ მოვახერხეთ ხელშეკრულების დადება გარეშე თავდასხმისაგან თავის დასაცველათ და ამასთანავე შევიმუშავეთ დემოკრატიულ მშვიდობიანობის უზრუნველმყოფელი პრინციპები სადაო საზღვრების საკითხის გადაჭრისა: ან მორიგება, ან არბიტრაჟი, რომლის დადგენილება ორივე მხარისთვის სავალდებულო უნდა გახდეს.

ჩვენ შევძელით თვით ამ ორ ისტორიის წარსულში ხშირათ ერთი მეორესთან მეზობელ ერებს შორის ერთ გვარი შინაგანი კავშირის გაბმა, თვით ხალხების ერთმანეთთან დაახლოვება.

შედარებით გაძნელდა სომხეთთან—საქმის მოგვარება, ერთი იმიტომ, რომ ამ ერის ხელმძღვანელთ მუდამ გარეშე ძალის იმედი აქვთ და მას თავის სასარგებლოთ გამოყენებაზე ფიქრობენ. მეორეც იმიტომ, რომ შინ მეტისმეტათ გაჭირვებულ მდგომარეობის გამო მუდამ მზათ არიან—„მეც წავხდი, შენც წაგახდინეო"—პოლიტიკა აწარმოვონ.

ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ თვით საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობის მეტათ ბუნდოვანი იყო და ბევრს იგი უდღეურათ შობილი ეგონა.

ზრავის არ სურდა ეწამებინა შესაძლებლობა ჩვენი თვითარსებობის. ან დენიკინს უნდა ჩავეყლაპეთ, ან ანტანტას გვესრისეთ, ან სხვა მოსულ ძალას.

მაგრამ წლინახევრის ისტორიამ დაგვანახვა, რომ ჩვენ ერს დიდი სასიცოცხლო ძალა ჰქონია. ჩვენ გადავიცადეთ აქ შემოსვლა გერმანელების, შემოსევა ოსმალების, ჩვენ ვიხილეთ აქ ჯარი და მხედრობა ინგლისის. ზოგი ამათგანი მეტათ მტრული განწყობილებით მოვიდა ჩვენთან, ზოგს წინასწარ ჰქონდა ყალბი და უარყოფითი აზრი ჩვენზე შედგენილი, როგორც ულირს ერზე, რომელიც მხოლოდ ანარქიას ქმნის და უადამიანობას ახორციელებს.

მაგრამ ადგილობრივ ყოფნამ—ყველა ევროპიელთ სახელმწიფოს წარმომადგენელი დაარწმუნა სრულიად წინააღმდეგში. და ჩვენ გვგონია, რომ დღეს ყველასათვის უდავო უნდა იყოს ჩვენი არსებობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპები ჩვენი მშვიდობის მოყვარეობა და სახელმწიფოებრივი განვითარების უნარი. პირველი ჩვენ დავამტკიცეთ მეზობლებთან ურთიერთობით. სომხეთის მიერ ხმალ ამოწვდილი შემოტევის დღეებშიაც კი ჩვენ არ გვიღალატნია ამ პრინციპებისთვის. სომხეთს ვეომებოდით, სანამ იგი წინ მოიწევდა და შევჩერდით, როცა ის უკუ ვაქციეთ.

სად ნახულა ომის მოყვარე და იმპერიალისტურ ქვეყნების ასეთ წუთში შეჩერება, თუნდაც დიდი სახელმწიფოების გავლენით?

საქართველო კი შეჩერდა იმიტომ, რომ იგი არ იყო იმპერიალისტური და არ იყო ომის მოყვარული. დღესაც ყველა სადავო საკითხებში, რომელიც არის ჩვენს და მეზობლებს შორის, საქართველო იჩენს მაქსიმუმ ლოიალობას, და მაქსიმუმ დათმობაზე მიდის კეთილი განწყობილების დასამყარებლათ ახლობელ რესპუბლიკებთან.

ეს იმდენათ ნათელია, რომ დღეს უდაოთ უნდა იყოს აღიარებული ყველასაგან, ვინც განზრახ არ დაიბრმავებს თვალს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეზე...

და თუ კავკასიის სხვა რესპუბლიკებიც ამ საერთო გზას დაადგებიან, მშვიდობიანობა და ეკონომიურ პოლიტიკური წარმატება ჩვენი მხარისა და ყველა ამ რესპუბლიკების უზრუნველყოფილია. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს გზა საბოლოოთ გაიკაფება ჩვენს სინამდვილეში. დამოუკიდებლობის დღიდან აქნობამდე ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული. ურთიერთობა, ერთმანეთის ძმობა, საერთო ენის გამონახვის საშუალებანი დღეს ათჯერ მეტია, ვინემ იყო იმ კრიტიკულ ხანაში, როცა ერთმანეთს ვშორდებოდით, ცხოვრების გამოცდილება, პოლიტიკური ზრდა კიდევ უფრო გაადვილებს ერთმანეთის ძმობას და შორს არაა ის დრო, როცა ყოველი დავა ჩვენ შორის სრულიად მოსპობილი იქნება.

დამოუკიდებლობის საკითხის გადაჭრა თავის მხრივ მეტის მეტათ დააჩქარებდა ამ პროცესს.

## ერობის ბეჭვდ. ორგანო

ჩვენი ერობის ერთი სუსტ მხარეთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს არავითარი ბეჭვდითი ორგანო. ამის გამო ერთი ერობა მეორეს სრულიად მოწყვეტილია, ერთმა ერობამ სრულიად არ იცის რა კეთდება მეორეში, ერობაში სრულიად მოკლებულნი არიან საშუალებას ერთმა მეორისაგან გადმოიღოს ის, რაც კარგი რამ გაკეთებულა, და არ მოჰკიდოს ხელი იმას, რამაც მეორე ერობაში უკვე ცუდი ნაყოფი გამოიღო. მხოლოთ ყრილობის საშუალებით ეცნობიან ერთმანეთს ერობები, მაგრამ ახსნა არც კი სჭირია იმ ჭეშმარიტებას, რომ თუნდაც წელიწადში ორჯელ გამართული ყრილობა არ კმარა ერობათა მუშაობის გაერთიანებისათვის, ამისათვის ერობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ბეჭვდითი ორგანოს დაარსება.

ეს ორგანო მრავალ მხრივ არის საჭირო. მისი მნიშვნელობა მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ ყველა ერობათა ცხოვრებას გააეროვნებს, ცალკე ერობათა პრაქტიკას ყველასათვის სახელმძღვანელოდ გახდის. მას ექნება კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა იმაში, რომ იგი ამუშავებს და გააღრმავებს მუნიციპალურ აზროვნებას, ერობის მოღვაწეებს გააცნობს ევროპის სათვითმმართველო თეორიას და პრაქტიკას; საერობო მოღვაწეთა დღეს დაქსაქსული, ინდივიდუალური და ერთმანეთს მოშორებული აზრი ერთად ამუშავდება, კოლექტიური გახდება და ეს ამ აზრს გაანაყოფიერებს და გააღრმავებს.

რაც უფრო ფართო ხასიათი ექნება ამნაირ ორგანოს, მით უფრო ნაყოფიერი გამოდგება მისი მუშაობა. ერობის ბეჭდვითი ორგანოში ადგილი უნდა ეთმობოდეს ყველა მიმართულების მუნიციპალურ აზრს.

ძალიან სასურველი იქნება, რომ ამ ორგანომ მიიზიდოს არა მარტო ქართველი თეორეტიკოსები და პრაქტიკული მოღვაწეები, არამედ უცხოელებიც. საქართველოსთვის ერობა ახალი ხილია, ქართველი მოღვაწეები მხოლოდ დღეს იკვლევენ გზას, მათ ბევრი ისეთი საკითხები დაუდგებათ წინ, რომლებთანაც უცხოეთის ერობას უკვე დიდი ხანია საქმე ჰქონია და ასე თუ ისე გადაუწყვეტია. სხვისი გამოცდილება ჩვენთვის სახელმძღვანელოთ უნდა მივიჩნიოთ.

იმ ტიპის ორგანო, რომელიც ჩვენ სახეში გვაქვს, ჩვენში უკვე არსებობს: იგი ეკუთვნის ქალაქთა კავშირს და მას ეწოდება „კავკასიის ქალაქი". ეს თვიური ჟურნალი დღეს უმთავრესათ ქალაქის თვითმართველობას ემსახურება. საჭიროა, რომ იგი გაფართოვდეს და გადიქცეს საერთოთ თვითმართველობის ორგანოთ, რადგან ეს ორი დარგი თვითმართველობისა (ქალაქის თვითმართველობა და ერობა) ისე ერთი ბუნებისა არის, რომ მათი დანაწილება შეუძლებელია.

ერობებს დღეს აქვთ თავისი ცენტრი. და ჩვენ გვგონია, რომ ამ ცენტრის ერთი მთავარი დანიშნულებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ერობას შეუქმნას ბეჭვდითი ორგანო. „კავკასიის ქალაქი" უკვე მოწყობილი და წესიერად დაყენებული ჟურნალია.

საჭიროა, რომ საერობო ცენტრმა ამ ჟურნალში თავისი წარმომადგენლებიც შეიყვანოს. ეს ყოველ მხრივ ხელსაყრელი იქნება: ახალ ჟურნალის დაარსება დიდს ხარჯს და დიდს ჯონებრივს ძალას მოითხოვს. ეს ხელსაყრელი იქნება თვით ქალაქთა კავშირისათვის, რომელსაც „კავკასიის ქალაქი" ეკუთვნის.

უკანასკნელმა ერობათა ყრილობამ რეზოლიუცია გამოიტანა საერობო ორგანოს დაარსების შესახებ. ვუსურვოთ, რომ ეს გადაწყვეტილება რაც შეიძლება ჩქარა ყოფილიყოს სისრულეში მოყვანილი.

## პრესა

დენიკინელების გაზ. „ნაშ კრაი" თავის შეხედულებას გამოსთქვამს მთიელთა აჯანყების შესახებ შესეულ მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ.

„ამის ჩაქრობა მოითხოვს ახალ მსხვერპლს და შრომას მოხალისეებისაგან და გვგონია, რომ ამისათვის წინანდელზე უფრო მეტი ძალა იქნება საჭირო. ამ მხრივ ამიერ-კავკასიაში მყოფ რუსეთის მტრებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს. რამოდენიმე პოლკის ფრონტიდან მოხსნა, რამოდენიმე ასეული დაღუპული რუსის სიცოცხლე—უმიზნოთ და უშედეგოთ, რამოდენიმე წვეთი ახალი შხამისა რუს და მთიელთ ურთიერთობაში, რამოდენიმე დღით გადადება საბჭოთა რუსეთის დაღუპვის—აი რა სურთ ამ აჯანყების ნამდვილ მომწყობთ და ინიციატორებს.

„მათ უნდა იცოდენ და შეიგნონ, რომ რუსეთი ვერ მოითმენს და ვერც იცნობს ისეთ პრეტენზიებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დასახულს მიზანს—სახელდობრ აღდგენას მთლიან რუსეთის სახელმწიფოსი, სადაც პატივით მოეპყრობიან ყველა ერთა ინტერესებს, თუ იგი შეეთანხმება საერთო ინტერესებს".

რუსეთის სახელით ასე ლაპარაკობს გაზეთი იმ ხალხისა, რომელიც თვით რუსეთს არა სწამს და რომელიც ყაზახების და ოფიცრებისაგან შემდგარ ჯარით ...ის ხალხის დასაპყრობათ საშინელს ომს აწარმოებს. ამ ხალხს ჩვენ ვერ მივიჩნევთ რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლად, მის ხმას ვერ მივიჩნევთ რუს ხალხის ხმად რუსეთის ხალხის ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვენ მთიელთა ჟლეტას, რასაც ასე უწყალოდ აწარმოებს მთაში შესეული მოხალისეთა ჯარი, რუსეთის ხალხი სრულიადაც არ გაიზიარებს იმ ბარბაროსულ ძალადობას, რომელსაც სჩადიან დენიკინელები და რომელსაც ასე მხარს უჭერს „ნაშ კრაი".

გაზეთი იხსენიებს იმ ფაქტს, რომ თფილისში მყოფმა მთიელთა „მეჯლისმა" პროტესტი გაუგზავნა დიდ სახელმწიფოებს მთიელთა აკლების გამო.

„რასაკვირველია, მისიის წევრები ამ განცხადებებს არ სთვლიან ყურადღების ღირსად. მათთვის ისევე როგორც ყველა მიუდგომელ ადამიანისათვის, ცხადია რომ მოყვანილი ფაქტები არ შეეფერება სიმართლეს და გარდა ამისა, ცხადია, რომ მათ არ შეუძლიანთ ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში—ეს შეუძლებელია და დაუშვებელიც".

ვინ არ იცის, რომ დენიკინ-კოლჩაკის მთელი პოლიტიკა აქამდის და დღესაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავის რუს-მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოების ჩარევას მოითხოვდენ და მათ დახმარებით უხვადაც სარგებლობდენ. დღეს თურმე ეს დაუშვებელი ყოფილა, რადგან ეჭვი არ არის, თუ. უცხო სახელმწიფოების ჩარევა მოხდა მთიელდენიკინელთა ომში, ეს ხელსაყრელი არ იქნება დენიკინელთათვის. მაშასადამე უცხოელების საქმეში ჩარევა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოადგებათ დენიკინელებს, დაუშვებელია, თუ ეს ჩარევა დენიკინელების წინააღმდეგ არის. როგორც ეტყობა, დენიკინელების მტაცებლური პოლიტიკა ლოღიკასაც მტაცებლურს ქმნის!

შემდეგ გაზეთი ერთნაირ მუქარას უთვლის საქართველოს მთავრობას იმ სტუმარ მოყვარეობის გამო, რომელიც ჩვენ გაუწიეთ სამშობლოდან გამოხიზნულ მთიელ მოღვაწეებს.

„თუ თფილისის მთავრობას სურს გამოაკეთოს თავისი დამოკიდებულება რუსეთთან, მან პირველ ყოვლისა კი არ უნდა ითანამშრომლოს რუსეთის მტრებთან, არამედ უნდა განდევნოს იგინი თავის ტერიტორიიდან. თორემ ის ცეცხლი, რომელიც ღვივის დაღესტანში საქართველოსაც მოედება და დაღუპავს, პირველ ყოვლისა მის ზნეობრივს მომწყობთ".

თუ ეს მუქარაა, უნდა მოვახსენოთ დენიკინელთა გაზეთს შემდეგი: ჩვენ ვიცით, რომ დენიკინელები ჩვენს წინააღმდეგაც იმავ მეთოდით მოისურვებენ მოქმედებას, როგორითაც მოქმედებენ მთიელთა წინააღმდეგ. ეს ჩვენ ვერ შეგვაშინებს, ეს ჩვენ არ დაგვიშლის ვილაპარაკოთ, რომ მთიელთა წინააღმდეგ მოქმედება დენიკინის ჯარისა აშკარა ბარბაროსობაა, გაუმართლებელი ძალადობაა, ამ ძალადობის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებთ და ამ ძალადობის მსხვერპლთ ვუცხადებთ ძმურს თანაგრძნობას.

## დამფუძნებელი კრება

30 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ლომთათიძე.

გ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადასაკეთებლათ დამატებით 700,000 მან. გადადების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს დ. თოფურიძე: ჯერ ჩვენ სახელმწიფო ბანკი არა გვაქვს. პირობები ისეთი იყო, რომ არ შეიძლებოდა დღემდე მისი დაარსება. ამიერიდან კი უნდა მოვაწყოთ სახ. ბანკი. ფული და კრედიტი არის ღერძი თანამედროვე მეურნეობის, ამიტომ ბანკები ჩვენს დროში არამც თუ ეკონომიურ სფეროში თამაშობენ უდიდეს როლს, არამედ თვალსაჩინო გავლენას პოულობენ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საქმეებზედაც, როცა არ არის კრედიტი, ფერხდება ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინების საქმე. უმთავრესი დანიშნულება ბანკისა არის ვაჭრობა-მრეწველობისათვის და მეურნეობისათვის ხელის შეწყობა. სხვადასხვა ქვეყნებში ბანკის სხვადასხვანაირ ტიპებს ვხვდებით. მაგ. ინგლისში ბანკი სრულიად კერძო სააქციონერო დაწესებულებაა; მართვა-გამგეობაც აქციონერების ხელშია, გერმანიაშიც სახელმწ. ბანკი სააქციონერო დაწესებულებაა, მაგრამ მართვა-გამგეობა მთავრობის ხელშია. რუსეთში კი სახელმწიფო ბანკი მთავრობის დაწესებულებაა. ძირითადი თანხა აქ სახელმწიფომ დასდო და მართვა-გამგეობაც სრულებით მთავრობის ხელშია. (ასევეა ბულგარეთში, შვეციაში და ფინლიანდიაში). ჩვენ როგორი ტიპის ბანკი უნდა ავირჩიოთ? ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში გვიხდება ბანკის დაარსება, ამიტომ ვერცერთ ტიპს სავსებით ვერ მივიღებთ. ჩვენ შემოვდივართ წინადადებით აქ დაარსდეს სახელმწიფო ბანკი, რომელსაც ძირითად თანხას აძლევს სახელმწიფო, ხოლო მართვა გამგეობა ეწყობა მთავრობისგან დამოუკიდებლათ. ამით მთავრობას საშუალებას უსპობთ ბანკი გამოიყენოს ფისკალური მიზნებისათვის. ბანკის გამგეს ირჩევს დამფ. კრება. გამგეობის წევრი კი გამგის წარდგენით პარლამენტი ამტკიცებს. პარლამენტი ირჩევს აგრეთვე საბჭოს წევრთ. საბჭო ზედამხედველი ორგანოა.

წესდება რუსეთის ბანკისა მივიღეთ, მხოლოდ შიგ შევიტანეთ სათანადო შესწორებანი. ამ საკითხს კამათი არ გამოუწვევია. მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

ს. ჯაფარიძე მოახსენებს შემდეგ კანონ-პროექტს:

„გაუქმდეს რუსეთის მინისტრთა საბჭოს დებულებანი უზენაესად დამტკიცებული 1915 წლის იანვრის 2 ს, თებერვლის 2 ს, მარტის 29 ს, მაისის 10 ს, სექტემბრის 23-ს, დეკემბრის 13 და 17 და 1916 წლის იანვრის 2 და 16, მაისის 2-ს, რომლებითაც გერმანიის ავსტრიის, უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარეთის ქვეშევრდომთ და აგრეთვე რუსეთის ისეთ ქვეშევრდომთ, რომლებიც გამოსულნი იყვნენ გერმანიიდან, ავსტრიიდან ან უნგრეთიდან, ეკრძალათ რუსეთში მიწის მფლობელობა და ვაჭრობა-მრეწველობა (რუსეთის კანონთა კრებულნი 1915 წლ. მუხ. მე 157, 349, 351, 725, 1113, 2003, 2749 და 1916 წლ. მუხ. მე-3, 138 და 984).

ნ. ნიკოლაძეს ნაადრევათ მიაჩნია ამ საკითხის ამ ჟამად გადაჭრა. ის უკავშირებს ამ საკითხს საერთოდ უცხოელთა მიერ დაკარგულ ქონების პასუხისმგებლობას და ამბობს, რომ სანამ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არ გამოირკვევა, სანამ პარიზში მოლაპარაკება არ გათავებულა, მანამ ამ კითხვის გადაჭრა ჩვენ არ შეგვიძლიაო.

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ წარმოდგენილ კანონ პროექტს უცხოელთა მიერ დაკარგულ ქონებაზე პასუხისმგებლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, რომ გერმანელებს, ავსტრიელებს და სხ. მიეცეს უფლება ჩვენში წარმოებას მოჰკიდონ ხელი ისე, როგორც ამას შვრებიან ინგლისელები, ამერიკელები და სხვ.

მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

მ. რუსიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების და ჩუქრების მიღების დროს ხაზინის სასარგებლოდ ერთდროული გადასახადის გაუქმების შესახებ.

## უკანასკნელი ცნობები

**ამიერ კავკასიის რესპუბლიკების საკითხი საფრანგეთის პარლამენტში.**

გაზეთ „ტან"-ის 9 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა იმ კითხვის შესახებ, რომლითაც მიუმართავს საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატ გაჟ დე-მონზის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის. ...ა, როგორც დეპუტატმა ჰკითხა, რა პოზიციისთვის სა-

# დღეს

ინგლისმა ლიტვიის დამოუკიდებლობა აღიარა
ჩეხები „ბართლომეს ღამის“ მოწყობას უპირებენ გერმანელებს.
ჩეხიაში მყოფი გერმანელები თვითმართველობას მოითხოვენ.
ბრუნსვიკში არჩევნებში დამოუკიდებლები ისევ დამარცხდნენ
სერბია მზათაა ხელი მოაწეროს ავსტრიის საზავო ხელშეკრულებას.
არხანგელსკში ცეცხლმა მრავალი ხე-ტყის ქარხანა გაანადგურა
ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ბოლშევიკები უტევენ.
კურსკის მიმართულებით ბოლშევიკებმა მალო არხანგელსკი დასტოვეს.

ვია ეხლა საფრანგეთის მთავრობას. კავკასიის რესპუბლიკების, საქართველოს და ადერბეიჯანის მიმართ, რომლებიც მისი სიტყვით, „შექმნილია ხალხების ერთსულოვანი ნებით, რომლებთაც აქვთ კონსტიტუცია, დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი და ჯარი ჰყავთ?“.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ კითხვაზე შემდეგი უპასუხა: 1) კავკასიის რესპუბლიკები არ არიან იურიდიულად ცნობილნი საფრანგეთის მთავრობის მიერ. 2) საფრანგეთის მთავრობას ფაქტიურად არ უცვნია [illegible] რესპუბლიკები. მდგომარეობა კავკასიაში მეტად დახლართულია და მერყევია. ამგვარად არსებობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა დროებით მოვლენად ეჩვენება ადამიანს. რაც შეეხება საქართველოს, ის აწარმოებს ომს რუსებთან და სომხებთან. 3) საფრანგეთის მთავრობა სიმპატიას ხატავს კავკასიის მცხოვრებთადმი თანახმად საფრანგეთის ტრადიციების და ინტერესებისა ამ მხარეში, კავკასიის სხვადასხვა მთავრობების დელეგატებს მიეცათ ნებართვა პარიზში ჩამოსვლისა. საფრანგეთის მთავრობას თავის წარმომადგენლები ჰყავს ბაქოში, ბათუმში და თფილისში. ამ უკანასკნელში არის აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო მისია, რომელიც კავკასიაში გაიგზავნა. იქ სეპარატიული მოძრაობის გაჩენამდე. 4) ეხლანდელ მდგომარეობაში კავკასიასთან ურთიერთობა მეტად გაძნელებულია. ტრანსპორტი დაშლილია და სავაჭრო ურთიერთობანი მეტად რთულია სავალიუტო საკითხის გამო. საფრანგეთის მთავრობას ვერ შეუძლია მჭიდრო ურთიერთობა დაიჭიროს კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებთან, მაგრამ ვცდილობთ, რომ აღსდგეს საფოსტო და სატელეგრაფო კავშირი და საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს შეძლებისდაგვარად შეამსუბუქოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან და მოაწყოს ის, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით“ (ტემპს, 9 სექტემბერი).

### აჯანყება მთაში.

ქალაქი დერბენტი სრულიად გაწმენდილია მოხალისეთაგან, მაგრამ სროლა გემებიდან მოხალისეთაგან არ შეწყვეტილა, რითაც ზარალი მოსდის განსაკუთრებით მშვიდობიან მცხოვრებთ.

რომ დამყარდეს სრული კონტაქტი მთიელთა მეჯლისსა და აჯანყებულ მთიელთა შტაბს შორის, სამოქალაქო მართველობის დემოკრატიული ორგანოების შესაქმნელად მთიელთ მიერ დაჭერილ ადგილებში, მეჯლისმა გაგზავნა ზოგიერთი თავისი წევრები დაღესტანში. ეხლა ეს პირები ბაქოში არიან, სადაც არკვევენ მთავარ საკითხებს.

9 სექტემბერს კასუმ-კენდის მცხოვრებლებმა ამოირჩიეს დელეგაცია, რომელიც წარუდგა მოხალისეებს და მოითხოვა მათგან სოფლის დატოვება. ამის საპასუხოთ მოხალისეებმა სროლა აუტეხეს მშვიდობიან მცხოვრებლებს, ამ ამბავმა ააშფოთა მეზობელი სოფლელები, შემოარტყეს ალყა მოხალისეებს და განდევნეს კასუმ-კენდიდან.

ამიერ-კავკასიაში მყოფ ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა მისტერ-ოლივერ უორდროპმა სათანადო ნაბიჯები გადასდგა დაღესტნის ამბების ლიკვიდაციის მოსახდენათ. შესაძლებელია ნეიტრალური ზონა დაარსდეს მოხალისეებს და დაღესტნელების შორის.

### გენ. ხარბორდის მისია.

ადერბეიჯანის პრემიერ მინისტრი უსუბეგოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი გენ. ხარბორდის მისიის წარმომადგენლებმა ინახულეს. საუბრიდან გამოირკვა, რომ გენ. ხარბორდი მოდის ამიერ-კავკასიაში არა მარტო სომხეთის საქმეებისათვის. მის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ადერბეიჯანი და საქართველო. მისი ჩამოსვლის მიზანი არის პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობის გაცნობა და შესწავლა ამიერ-კავკასიაში. გენ. ხარბორდს თან ახლება დიდძალი შტატი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი. ამ ჟამად მისიის წევრები ადერბეიჯანის ბუნებრივ სიმდიდრეს ათვალიერებენ და ძლიერაც კმაყოფილი არიან იმ წესრიგით, რომელიც სუფევს ადერბეიჯანში.

## მოგონება

(ამხ. სანდრო მაისურაძე).

გუშინ სანდროს სახელობის სამკითხველო გაიხსნა!

რამდენ მოგონებას, რამდენ მძიმე წუთებს აღგიდგენს მეხსიერებაში ეს სახელი!

ამას წინეთ, სახალხო გვარდიელთა ყრილობა რომ იყო, ერთ სხდომაზე ქანდარიდან გადავხედე ამ ყრილობას, აქ ყველა იყო, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიის დაცვის მძიმე და დიადი მომენტებ[ი] განიცადა. ამ სანახაობამ, ვინ მოსთვლის რამდენი სურათები არ აღადგინა იმ წუთს ჩემს მეხსიერებაში... და ამხანაგი სანდროც მომაგონა...

ქუჩაში რომ გამოვედი და ამ სურათებით გატაცებულმა წარსულის მოგონებას თავი მივეცი, ამხანაგი სანდრო სულ თვალწინ მედგა და ეხლაც, როდესაც მის სახელობის სამკითხველოს საძირკველი ჩაეყარა, მისი სახე თვალწინ მიდგას.

— მახსოვს, სომხეთთან ომი დაწყებული იყო, ჩვენი ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია, პატარა რაზმი ცი[ცი]ციშვილის მეთაურობით უკან იხევდა ვორონცოვკიდან, იმავე დროს მტერს აჩერებდა და შველას მოელოდა

ეს ცნობა ახალი მიღებული მქონდა. ამ დროს სხვა საქმისათვის ჩემთან კაბინეტში შემოვიდა ამხ. სანდრო და რომ დაღვრემილი დამინახა, იმედიანათ შემეკითხა: „რა არის ამხანაგო, რამ დაგაღონა“? მეც დეპეშა მივაწოდე გადეკითხა.

— „მერე რა, ჩვენ მზათა ვართ პასუხი გავსცეთ, ხვალვე ჩვენი ძალებით ავტომობილებით ციციშვილის მიშველებით“, იყო პასუხი,—„ოღონდ შენ ეხლა აი ის ზარბაზნები რომ გაქვთ, ჩვენ მოგვეცით, რომ გავამზადოთ, შემდეგისთვის გამოგვადგება“.

ეს სიტყვები იმდენათ გმირულათ იყო ნათქვამი, რომ სამარემდის არ დამავიწყდება.

იმავე საღამოს სანდრო სასახლეში ვნახე, მაცნობა, რომ მთავარი შტაბის დადგენილებით ის მიდის ვორონცოვკისაკენ; ის საზამთროთ პოზიციისათვის უკვე გამოწყობილი იყო, მალე ერთ პატარა ოთახში შტაბის საიდუმლო თათბირი მოხდა, სანდროც იქ იყო, ეხლაც ცოცხლათ თვალ-წინ მიდგას სანდრო შინელში გამოწყობილი; ამ დროს ის რაღაც დაღვრემილი იყო, დამშვიდებით გამოიყურებოდა, უბის—წიგნში რაღაცეებს იწერდა,—„კაცო, ერთი კიდევ წამოვიდეს ჩემთან ვინმე“, ჩაილაპარაკა თავისთვის და გარშემო მიმოიხედა.

ამ დროს რაღაც უცნაურმა აზრმა გამიარა თავში, ვიფიქრე: „ვაი თუ სანდრო იქ დაიღუპოს. რატომ, საიდან დამებადა ეს აზრი! დაკვირვებით შევხედე სანდროს, ვიფიქრე: „არა ეს სისულელეა, ეს როგორ მოხდება“.

ეს სურათი ყოველთვის მომაგონდება მის სახელთან, მაგონდება დღესაც...

— —

სომხეთთან ომი დასრულდა, ბოლნის-ხაჩინთან მდგომის გვარდიის სანახავთ წავედი, ეკატერინოფელდში გალიკო ვნახე და პოზიციაზე სხვებთან ერთად ცხენებით წავედით.

ვნახე ის ადგილები,.. ის ბუნებრივი სიმაგრეები, რომლებიც გვარდიელებს აღლოთ. მტერს მშვენიერი პოზიციები ეჭირა, სანგრებიც ხელოვნურათ გაეკეთებინათ. ვნახე, რა მშვენივრათ მოქმედებდა ჩვენი არტილერია. ვნახე ის ადგილი, სადაც განსვენებული სანდრო იბრძოდა. „აი აქ მოგვიკლეს სანდრო“, მითხრა პოლკ. ჯიჯიხიამ ნაღვლიანათ. და მე მისი დაღვრემილი და დამშვიდებული სახე მომაგონდა!

იქვე ბოლნის ხაჩინში მაღლმა გვარდიამ ალღუმი გამართა, იქ მათ ერთხელ კიდევ დასდვეს ფიცი, რომ დამოუკიდებლობას და დემოკრატიას არ უღალატებენ. მათ შორის არ იყო სანდრო, და მე კიდევ მისი დაღვრემილი და დამშვიდებული სახე მომაგონდა!

———

ვალიკო, ალექსანდრე, ლენ. ახმეტელაშვილი, ჯიჯიხია და სხვა ამხანაგები აქაე პოზიციაზე ერთად ვსადილობთ, ვულოცავთ ერთი-მეორეს გამარჯვებას, ვიგონებთ ამ ბრძოლაში დაღუპულებს, მოვიგონეთ სანდრო, და მე კიდევ მისი დაღვრემილი და დამშვიდებული სახე მომაგონდა!

... და ეს სახე ჩემს მეხსიერებაში უკვდავია.

გრ. გიორგაძე.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 ოქტომბერი.

**მოსკოვი.** ენკენისთვის 30, ბოლშევიკური ცნობები. (ცუდი ამინდების გამო ცნობების მიღება გაძნელებული იყო).

ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთ-დვინის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება, კიევის დასავლეთით 45 ვერსზე ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციებისაკენ დაიხია ..... (?)-ის მიმართულებით ბრძოლაა. კურსკის მიმართულებით ჩვენ სადგური მალოარხანგელსკი დასტოვეთ. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა (?)-ის ქალაქის სამხრეთით ახალი პოზიციები დაიჭირა. ხოპერთან ჩვენი შეტევა ვითარდება. ცარიცინის ჩრდილოეთით 25 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ.

**ნაუენი.** ენკ. 29, ტიროლის ლანდტაგში ტიროლის და ავსტრიის სახელმწიფოებრივ ურთიერთობის შესახებ კამათის დროს სოც.-დემოკრატებმა კრების დარბაზი დასტოვეს. განაცხადეს, რომ ზედმეტად მიაჩნიათ.... ამ საკითხში დაიჭირონ რაიმე პოზიცია.

**ბელოოსტროვი.** ენკ. 29, ინგლისის ჯარისკაცების სიტყვით არხანგელსკში ცეცხლმა მრავალი ხე-ტყის ქარხანა გაანადგურა. ზარალი ექვს მილიონს აღიწევს. ცეცხლი განგებ არის გაჩენილი. დამნაშავეებათ სთვლიან ბოლშევიკ ჯარისკაცებს, რომლებიც რუსეთის მოხალისეთა რაზმში ჩასწერეს.

### გერმანული პრესის ცნობები.

ჩეხიის? გერმანული ხელმძღვანელი წრეები აცხადებენ, რომ ჩეხიაში მყოფი გერმანელები თვითმართველობას მოითხოვენ.

უარყოფენ ცნობას, ვითომ ბრიტანიის ბლოკადა გრძელდება.

უკანასკნელ ხანს გერმანულ ავსტრიაში სასურსათო მდგომარეობა უარესდება ტიროლის ლანდტაგში ტიროლის და ავსტრიის სახელმწიფოებრივ ურთიერთობის შესახებ კამათის დროს სოც. დემოკრატებმა კრების დარბაზი დასტოვეს, განაცხადეს, რომ ამაზე ლაპარაკი არა ღირს.

ნახშირის სიმცირის გამო სექტემბრის 30-დან ალტონსა და ბერლინის შორის რამდენიმე სწრაფმა მატარებელმა კიდევ შესწყვიტა მიმოსვლა.

ბერლინის უმუშევართა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა განაცხადა, რომ დახმარებას მოუსპობენ იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო უკანასკნელ უწესოებაში.

მეტში მოქალაქეთა მიტინგმა უნდობლობა გამოუცხადა ქალაქის თავს ბრეველს და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ გადადგომა, წინაამდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დიდი უწესოება.

ბრუნსვიკში არჩევნებზე დამოუკიდებელნი ისევ დამარცხდნენ.

იუწყებიან, რომ ჩეხელები „ბართლომეს ღამის მოწყობას აპირებენ გერმანელებისთვის.

„ფორვერტსი“—სწერს ლიუდენდორფმა გადასწყვიტა, თავის ახალ წიგნში მიღებული ფული, რაც შეადგენს 20 მილიონს, ამერიკის გამომცემლობის წყალობით, რომლებმაც დიდი ჰონორარი მისცა, შესწიროს ომში დაზარალებულ ჯარისკაცებს.

### იტალიური პრესის ცნობები.

ლიტვის დელეგაციის ცნობით, ინგლისმა დამოუკიდებლობა აღიარა. „პტიპარიზენი“ ამბობს, რომ სერბია მზადაა ხელი მოაწეროს ავსტრიის საზავო ხელშეკრულებას. გაზეთები ამის მიზეზათ ფიუმეში მომხდარ ამბებს სთვლიან.

პარიზში უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა გერმანიის მთავრობას გაუგზავნოს ნოტა, რომელშიაც მოთხოვნილი იქნება ლიტვის დაცლა და მუქარა სურსათის მოწოდების შეწყვეტისა, თუ ეს მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული.

დაინიშნა საგანგებო კომისია გერმანულ-ავსტრიის ქვეშევრდომ სამხედრო ტყვეთა ციმბირიდან დაბრუნების საკითხის განსახილველად.

პალატა ტიტონის განცხადებაზე თათბირს განაგრძობს. დელეგაციის თავმჯდომარეს ორლანდოს, რომელიც დელეგაციის მუშაობას იცავდა, სიტყვ[ა] ხშირად აწყვეტინებდნენ დიდი ტა[შ]ი[...]. [illegible] და განაცხადა, რომ მის [illegible] [illegible] ზომები მიიღო, რომ ეს საკითხი საუკეთესო[დ] გადაწყვეტილიყო. კამათი მეორე დღისთვის გადაიდო.

## ახალი ამბები

✦ **მისასალმებელი დეპეშა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა გურიიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „გურიის გვარდიელთა წარმომადგენლების ყრილობა სალამს უძღვნის სახალხო გვარდიის მთავარ ხელმძღვანელს და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქვეყნის და დემოკრატიულ წესწყობილების დაცვისა და განმტკიცების საქმეში“.

✦ **ბოროტ-მოქმედება.** 30 სექტემბერს, მილიციელებმა მადათოვის ქუჩაზე, შეიპყრეს გვარდიელთა დივიზიონის გვარდიელი ე. კაკაბაძე, რომელსაც გვარდიის დივიზიონის საწყობიდან 15,000 მ. საქონელი მოუპარავს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს საღ. 6 ს., სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში, ყოფილი რუსთა კლუბის შენობაში (პლეხ. პროს. სახლი № 123) დანიშნულია ყველა ლექტორთა, ლექტორობის მსურველთა და ქართულ განყოფილებათა საერთო სხდომა. ვინაიდან ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები ირჩევა, აუცილებლათ ყველა უნდა დაესწროს.

✦ **სომხეთის ეროვნულმა საბჭომ** 30 სექტემბრის სხდომაზე აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი. მასში შედის ა. მიანსარიანი, გ. სტეფანიანი. ე. ტ[...] მინასიანი და ე. არამიანი. იმავე სხდომაზე მთავარ კანტროლათ არჩეულ იქნა ი. ხუნუნცი. ფინანსიურ კომისიაში შევიდნენ: შარაფიანი, ე. აღაჯანიანი და მაილიანი.

✦ **„კაპელას“ მოღვაწეობის გამო.** კოოპერატივთა კავშირმა და ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „საუკუნოებრივ მონობაში მოდუნებული ძალ-ღონე ხალხისა ხელ ახლა მოდის თავის დონეზე და დამოუკიდებელ სამშობლოს საზღვრების გამაგრებასთან ერთად ქართველი ხალხი აფართოებს და აღრმავებს თავის კულტურულ შესაძლებლობას. ქართული კაპელა მრავალხმოვანთა და ტკბილ სიმებთა ბგერით აშუქებს სულიერ სიძლიერეს ჩვენი ხალხისას და გვიჩვენებს ნაციის კულტურულ ზრდას. დიდება და სახელი ქართულ მუსიკალურ ჰენიას, დიდება და სახელი მადლიან პოპულიარიზატორებს, ქართველ

## გერმანიის რევოლუცია და წარმოების განსაზოგადოებრიობა

(წერილები გერმანიიდან).

(დასასრული)

საჭირ-ბოროტო და მეტად მნიშვნელოვანი არის მეორე საკითხი, კაპიტალისტებისა და მსხვილ მემამულეების ანაზღაურებისა. ამ საკითხის გადაჭრაში პოლიტიკური ან მორალური თვალსაზრისი კი არ უნდა თამაშობდეს უმთავრეს როლს, არამედ თვალსაზრისი ეკონომიურ მიზანშეწონილებისა. და აი ყველა გამოჩენილი სოციალისტი ეკონომისტები (კაუცკი, ჰილფერდინგი, ო. ბაუერი, კუნოვი და სხვ.) ერთი აზრისა არიან იმაში, რომ კაპიტალისტები ჩამორთმეულ წამოებისათვის სავსებით ანაზღაურებულ იქნენ.

არგუმენტაცია ასეთია: რაკი სოციალისტურ წარმოების ერთის დაკვრით შემოღება შეუძლებელია და რაკი კაპიტალისტურათ დარჩენილი წარმოება აუცილებლად მის პატრონების წინანდებურ მუშაობას და ყურის-გდებას საჭიროებს—ამისთვის შეუძლებელია წარმოების ჩამორთმევა აუნაზღაურებლათ მოხდეს. ცხადია, მაშინ კაპიტალისტურად დარჩენილ წარმოებაში მისი პატრონი საქმის გაკეთების მაგივრათ მის გაფუჭებასა და დარღვევას შეუდგება, თუ კი რამოდენიმე წელიწადში მთელი თავის შრომის ფუჭად ჩავლას მოელის. როცა კი მას ყოველ შრომასა და წარმოების გაუმჯობესებას დაუფასებენ, იგი ძველებურათ ხალისით განაგრძობს მუშაობას. ამავე დროს აუნაზღაურებლათ ჩამორთმევას შეიძლება ადგილი ექნეს კერძო შემთხვევებში ზოგიერთ კაპიტალისტების დასასჯელათ მათ მავნე მოქმედებისათვის.

რაც შეეხება მსხვილ მემამულეებს, აქ კაუცკის წინადადება ყველაზე უფრო მისაღებია: ისინიც ანაზღაურებულ უნ[...]ქნან, გარდა ფეოდალურ დროიდან [...]ნილ საკუთრებისა, რომელიც ხა[...]რ არის, როგორც მაგ. უმრავ[...] ფიდეიკომისებისა და სათავა[...]ლეები. [...]ოება უნდა მოხდეს, მაგრამ რა სახით და ან საიდან უნდა იშოვნოს ნახელმწიფომ ამ მიზნისთვის საჭირო თანხა?—ამაშია სიძნელე საკითხისა. და აი ჯერ კიდევ 1902 წელს კ. კაუცკიმ გასაკვირველ შორსმჭვრეტელობით, ეხლა ეს უნდა პირდაპირ ითქვას, გამონახა გამოსავალი გზა, რომელიც ყველა ეხლანდელს გეგმებს საფუძვლად ედება.

კაპიტალისტებს და მსხვილ მემამულეთ მათთვის გადაწყვეტილი თანხა, რომელსაც ყოველი კონკრეტიულ შემთხვევაში დიდი სიფრთხილით უნდა ანგარიში, მთილანათ კი არ უნდა მიეცეთ, რათა მათ შემდეგ მისი ისევ წარმოებაში კაპიტალის სახით მოხმარა არ შეეძლოს. მათ მიეცემათ სახელმწიფო სესხის ქაღალდები, რომლებიდგანაც ისინი დადგენილ პროცენტს მიიღებენ.

ამოდენა თანხა, რომელიც ამ ანაზღაურებისათვის არის საჭირო და მასთან კიდევ აუარებელი ვალი და გასავალი სახელმწიფოსი, რასაკვირველია მათი გადასახადის სახით მოკრეფას თხოულობს. ამისთვის კი საჭიროა მთელი ძველი ფინანსიური სისტემა ძირიანათ იქნას შეცვლილი. ძველი გზები დამაკმაყოფილებელი არ არის. როგორც ოტტო ბაუერი გერმანიის ავსტრიისათვის ანგარიშობს მდიდართა შემოსავლის ოთხი მეცხრედი ე. ი. თითქმის ნახევარი უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ გადასახადების სახით აკრეფილი. (ეს ოთხი მეცხრედი სხვადასხვა სახით იქნება აღებული, მაგ. ქონების ერთი მეექვსედის გადახდით, წმინდა შემოსავლის ერთი მესამედის და სხვა). ოთხი მეცხრედი არის საშუალო, რადგან მსხვილი კაპიტალისტი პროცენტულათ მასზე მეტს იხდის და წვრილი კი ნაკლებს. ამ დღეებში გერმანიის დამფუძნებელმა კრებამ პირველ წაკითხვაში მიიღო რამოდენიმე კანონი გადასახადების შესახებ, რომელსაც, როგორც სურდა მის მუშაობას, კომპრომისის ხასიათი აქვს, მაგრამ მაინც დიდ ნაბიჯს წარმოადგენს წინ გადადგმულს. ამ აუცილებელ ზომას ქვეყნის გასაახლებლად თვით ბურჟუაზიაც ველარ უწევს იმდენს წინააღმდეგობას.

ერთდროული გადასახადებით ქონების კიდევ უფრო შემცირება თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან ამით წარმოების საქმე საგრძნობლათ შეფერხდება. ამასაც უნდა მიექცეს მათი დაწესების დროს ყურადღება.

ამნაირად მთელ იმ თანხას, რომელიც ამა თუ იმ ქონება-ჩამორთმეულ კაპიტალისტისთვის იქნება საჭირო, იხდიან იგივე კაპიტალისტები, მაგრამ არა როგორც ესა თუ ის პიროვნება, არამედ როგორც კლასი, რაც ამ შემთხვევაში ძალიან ბევრს ნიშნავს. ამნაირად შეიძლება ანაზღაურებისა და საზოგადოთ განსაზოგადოებრიობის პროცესის შედარებით უმტკივნეულათ ჩატარდეს.

ჩვენ ვხედავთ, სოციალისტური ფინანსიური პოლიტიკა, როგორც თავისი აგებულებით, ისე შინაარსით და მიზნით რადიკალურათ განსხვავდება კაპიტალისტურისაგან. პირველ აქტით სახელმწიფო ანახევრებს თითქმის მდიდართა ქონების შემოსავალს, რათა კაპიტალისტური წარმოება სოციალისტურათ შესცვალოს (ანაზღაურება და სხვ.). შემდეგ კი, თანდათან, რაც ძლიერ საყურადღებოა, გადასახადები და მათი შემოსავალი სახელმწიფოსთვის უმთავრეს ფინანსიურ მნიშვნელობას ჰკარგავენ და მათ ადგილს სოციალისტურათ მოწყობილ წარმოებიდან სახელმწიფოს ხვედრი წმინდა შემოსავალი იჭერს, რაც მთელ ფინანსიურ პოლიტიკის შეცვლაა. და ეს რაც დრო გადის და სოციალიზმი ფართოვდება—მით უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. თუმცა დავიწყებულ არ უნდა იქნას, ფისკალური მომენტი კი არ თამაშობს განსაზოგადოებრიობის საკითხში უმთავრეს როლს, რაც შეიძლება მისთვის მეტად მავნეც შეიქნეს, არამედ მუშების, მომხმარებლების და თვით წარმოების ინტერესები. სახელმწიფოს შემოსავლის გადიდება უნდა იყოს მხოლოდ შედეგი საზოგადოების კეთილდღეობის დიად მიზნებზე აგებულ სოციალისტურ წარმოებისა.

* * *

ამით შეგვიძლია დავაბოლაოთ ჩვენი წერილები გერმანიის რევოლუციის უდიდეს პრობლემის, წარმოების განსაზოგადოებრიობის შესახებ. დასასრულ კიდევ მსურს ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ახლო მომავალში მუშების მდგომარეობის დიდ გაუმჯობესებას არ უნდა მოველოდეთ. სოციალისტური რევოლუცია დაიწყო არა წარმოების აყვავების დროს, როგორც ამას სოც.-დემოკრატები მოელოდნენ, არამედ მის დაცემის ხანში; და ამასთანავე ევროპის და ამერიკის დიდ სახელმწიფოთაგან, რუსეთს რომ გვერდი აუხვიოთ, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში აქვს ადგილი.

„სოციალიზმი წარმოების დემოკრატიული ორგანიზაციაა“ (კაუცკი) და მის ნაწარმოებთა საზოგადოებრივი განაწილება. თუ წარმოება თავისთავად ღარიბი და სუსტია, მისი ნაწარმოებთა განაწილება ბევრს ნაყოფს ვერ მოიტანს. სიმწარით ამბობს ამიტომ მაქს ადლერი: „სოციალიზმი ამ ჟამათ სიმდიდრის კი არა, გაჭირვების საზოგადოებრივი განაწილების საკითხი გახდაო“. და ეს მით უფრო, რომ შემოსავლის უდიდესი ნაწილი, რაც გადასახადებს გადარჩება, წარმოების გამოცოცხლებას და მის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. მხოლოდ წარმოების ფეხზე წამოყენების შემდეგ შეიძლება სოციალისტურმა ქვეყანამ ის ნაყოფი გამოიღოს, რომელსაც უწინ მოველოდით. ამიტომ აღნიშნა კაუცკიმ „დამოუკიდებლების“ პარტეიტაგზე, მეურნეობის თვალსაზრისით სოციალიზმის ცენტრი ინგლისი იქნება, როგორც შედარებით უფრო შემონახული და მდიდარი ქვეყანა; გერმანია დაღარიბდა და კარგა დრო უნდა მის გამობრუნებასო.

რასაკვირველია, ყველა ეს აფერხებს სოციალიზმის საქმეს, მაგრამ სამუშაო დღის შემოკლება, ხელფასის რამდენადაც შესაძლებელია მომატება და იმის შეგნება, რომ მუშა ეხლა სხვისთვის კი არა, არამედ თავისთვის და თავის მომავლისათვის მუშაობს—საკმაო უნდა იყოს გერმანიის შეკავშირებულ და ბრძოლაში ნაცად მუშათა კლასისათვის, რომ მან საჭირო შორსმჭვრეტელობა გამოიჩინოს და წუთიერ ეფექტებს არ გამოეკიდოს.

ყველა ეს სიძნელე უბედურობაა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ რის გაკეთებაც შეიძლებოდა—ისიც ვერა კეთდება. ეხლანდელი მომენტი უმაღლესი წერტილია ამ კრიზისისა. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ თანდათან გერმანიის რევოლუცია და მისი ორგანოები წმინდა სოციალისტურ პოლიტიკის გეზს აიღებენ.

———

ყველა ეს კარგი, მაგრამ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის?—იკითხავს ქართველი მკითხველი. და მართლაც ეკონომიურათ განუვითარებელ საქართველოსათვის ამ იდეებს და პრობლემებს დღეს დღეობით ძალიან ცოტა პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებათ. ჩვენში სოციალიზმი, როგორც წარმოების მაღალი ფორმა, არ არის მომწიფებული პრობლემა დღიურ შემოქმედებით მუშაობისა.

მაგრამ ისე როგორც აქ, ეკონომიურად განვითარებულ გერმანიაში, უკვე მომწიფებულ წარმოების შტოების განსაზოგადოებრიობამ ჩამორჩენილი წარმოება უნდა მოამწიფოს და სოციალიზმისთვის მოამზადოს, ისევე ევროპის, მეურნეობა განვითარებულმა, სოციალისტურმა ქვეყნებმა ჩამორჩენილები უნდა მიიზიდოს, მათ წარმოებაში შესაფერი მოსამზადებელი ორგანიზაცია გაატაროს და საერთო, სოციალისტურ საზოგადოების აღმაშენებელ მუშაობაში ჩაითრიოს.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ამ წერილებს და მათში დასახულ წარმოების მოწყობის ზოგიერთ საშუალებებს ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე თეორიული. მით უფრო ჩვენ ქვეყნისათვის, სადაც პოლიტიკურად და სუბიექტიურათ პირობები სოციალიზმისთვის გაცილებით მეტათ ხელსაყრელია. ვიდრე სხვა ჩვენსავით ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებში, ეს მნიშვნელობა დღითი დღე უნდა გაიზარდოს. და სოციალური რევოლუციაც ხომ ხანგრძლივი პროცესია!

———

დასასრულს იგივე აზრი მინდა გამოვსთქვა, რაც თავში აღვნიშნე.

საერთაშორისო სოციალიზმში, ორი გზა სოციალიზმის განხორციელების ეცილება ერთმანეთს.

ერთია გზა სამოქალაქო ომის, უმცირესობის იარაღით გაბატონების, საწარმოვო ძალთა განადგურების.., გზა სახიფათო, სტიქიური, შეუგნებელი. მისი კერპი, მისი ფეტიში ბრმა ნების ყოფა და ფიზიკური ძალა, ნების-ყოფა უძლურია, თუ ობიექტიური პირობები მისი სურვილების წინააღმდეგია. ყოვლად შეუძლე. ამ ობიექტიურ პირობების შესწავლა და მის ტენდენციების გამოკვლევა—აი უმთავრესი საზრუნავი ჩვენი. ამ ტენდენციების გასაღრმავებლად მიმართული ნებაყოფა მოიტანს მხოლოდ ნაყოფს. [...] ავიწყდებათ ამ გზის მოციქულთ

ფიზიკური ძალა საზოგადოების ბებია, როგორც მარქსი იტყოდა, როცა იგი ძველ ქვეყნის საშოში დაგროვილ შებორკილ შემოქმედებით! ეკონომიკალებს ანთავისუფლებს და მათ გზას აძლევს.

მაგრამ იგივე ფიზიკური ძალა განადგურებულია, თუ წარა-მარა წარმოებას აფერხებს და ყოველს, ნამდვილსა თუ ილიუზორულ პრობლემას რკინის მუშტით სწყვეტს.

ასე რომ ჩვენ შეხედულებას არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს ძველ ფილისტერულ, მშიშარა რევიზიონიზმთან და არც „ბუნტარულ“ ანარქიზმის ძველ თუ ახალ ფორმებთან.

ესეც ავიწყდებათ ამ გზის მოციქულთ.

მეორე გზა—არის გზა პოლიტიკურ რევოლუციის შემდეგ წარმოების თანდათან, მიზანშეწონილათ მოწყობისა. ამ შემოქმედებით მუშაობაში დემოკრატიულად შეკავშირებული ფართო პროლეტარული მასა უნდა იღებდეს მონაწილეობას. ისედაც დაჩაგრული წარმოების სხეული კიდევ უფრო არ უნდა ნადგურდებოდეს. დემაგოგიას და ილუზიების გაღვიძებას, რაც ეხლა ასე ადვილი არ არის, ადგილი უნდა ჰქონდეს

სოციალიზმი, ოტტო ბაუერის ა[...] იყოს, ორივე გზით მოვა; იგი ეკონომიური აუცილებლობა შეიქნა. მხოლოდ პირველი გზა ძვირდება. მსხვერპლს მოითხოვს, მეორე კი არა. პირველი შეუგნებელი, სტიქიური პროცესია, მეორე შეგნებული და მიზან-შეწონილი ყოველი სოციალისტი უნდა სცდილობდეს მეორე გზის გამარჯვებას და ყოველ შემთხვევაში თვით არ უნდა უწყობდეს ხელს მასის დამრღვეველ ინსტინქტების გაღვიძებას.

ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში. დიადი ბრძოლა კაცობრიობის განახლებისათვის დაწყებულია!

ბიძინა რამიშვილი.

ბერლინი, ივლისის 23, 1919 წელი.

კომპოზიტორებს სამშობლოს მადლობა უძღვნა კოოპერატივთა კავშირსა და კონსერვატორიას, რომ პრაქტიკულად ხელი შეუწყეთ მუსიკის საქმეს. გულითადი მადლობა საზხედრო პაწია ოჯახისაგან, რომელთაც კაპელის სასიცოცხლო ჰანგებმა გაუფანტეს ატმოსფერა გაველურებისა და მიანიჭეს მას უმაღლესი და ნეტარი განცდანი. ზხედარნი და ავიცრები ცხენოსანთა გვარდიის დივიზიონისა".

✦ კაპელას კონცერტი. დღეს, 2 ოქტომბერს, სახალხო სახლში (ზუბალაშვილისა) გაიმართება კაპელის პირველი კონცერტი. დაწვრილებითი ცნობა პროგრამაშია. ფასები სახალხოა.

✦ ტენისის სექცია ტან სავარჯიშო „შევარდენი"-ს საზოგადოებისა აცხადებს, რომ „ლაუნ-ტენისი"-ს თამაში განახლდა, წევრების ჩაწერა მიიღება საზოგადოების შენობაში (კუთხე ალექსანდრეს და ფეიერვერკერის ქუჩა), კვირაობით 12-დან 3 საათამდე და ოთხშაბათობით 5-დან 7 საათამდე. მოკლე ხანში სექცია მართავს შეჯიბრებას პირველ ხარისხობამდე.

✦ ქურდობა. 30 სექტემბერს ათანასეს ქუჩაზე მცხოვრებ ტოლის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები 15 ათის მან.

✦ ქალაქის წიგნთსაცავი-სამკითხველოდან გ. ვ. პლეხანოვის სახელზე (ჩერქეზიშვილის ქუჩა; № 135) პირველ ოქტომბრიდან დაიწყო წიგნების მიცემა სახლში. სამკითხველოში არის ქართული, რუსული და სომხური გაზეთები. გაზეთების და წიგნების კითხვა სამკითხველოში უფასოა. გაღებულია ყოველ დღე 9 საათ. 1 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე კვირა დღეებში 9 საათ. 1 საათამდე.

✦ რკინის გზის ლიანდაგის აყრა. 1 ოქტომბერს ბორჯომიდან მომავალ სამგზავრო მატარებელს დილის 6 ს. მცხეთას და ავჭალას შუა მე-277 ვერსზე ლიანდაგი აყყარეს. მემანქანეს ეს მალე აცნობეს და მატარებელი გადარჩა.

✦ გენ. ჰარბორტი ერევანში. 30 სექტემბერს, ერზერუმ ყარსით ერევანში ჩავიდა გენ. ჰარბორტი თავისი მხლებლებით. მან იმავე დღეს ინახულა სომხეთის მთავრობა და გაგზავნა ნახიჩევანში თავის წარმომადგენლათ ორი გენერალი.

✦ გერმანელი კოლონისტები. განჯის გუბერნიაში მცხოვრები გერმანელი კოლონისტები, ამ გუბერნიიდან ესახლებიან ამერიკაში. მიზეზი ამ გადაწყვეტილებისა ყოფილა მათი შევიწროვება თათართა ბანდების მიერ.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს სალ. 6 საათზე შესდგება მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეექვსე რაიონის კოლექ. წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის სახალხო სახლში შესდგება პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა კოლექტივის კრება.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის ყველა კურსების (I, II და III) სტუდენტთა საერთო კრება მოხდება კვირას დილის 10 საათზე უნივერსიტეტის შენობაში. განსახილველია საორგანიზაციო საკითხები და მომავალი საკადემიო წელში სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის გეგმა.

## მცირე შენიშვნა

(თფილისის ლაზარეთის ყოფილ სამეურნეო ნაწილის გამგის ჩიჯავაძის წერილის გამო; იხ. „Обновленіе" № 4).

ჩემი მთავრობაში ყოფნის დროს ჩემის განკარგულებით მოხდა თბილისის ლაზარეთის რევიზია.

თავიდანვე რევიზიამ ლაზარეთში ფულის ანგარიშში უწესრიგობა აღმოაჩინა. ეს გარემოება კომისიამ მე მომახსენა და მთხოვა ზომების მიღება. ამ უწესრიგობის ბრალი ბ. ჩიჯავაძეს ედებოდა. მე ის სამსახურიდან გადავაყენე სასამართლოში მე ეს ფაქტი აღვნიშნე.

ჩემს შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი; მაგრამ თუ ამ უწესრიგობის დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემულნი არ არიან, ძლიერ სამწუხაროა.

გრ. გიორგაძე.

## ნაძალადევი

(თფილისის თვითმართველობის საყურადღებოთ).

ყველამ იცის, რომ ნაძალადევში მცხოვრებთ, შედარებით ქალაქის სხვა ნაწილებთან, ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ ცხოვრება. ქუჩები გაუნათებელია. წვიმიან დღეებში, განსაკუთრებით ზამთარში, ქუჩებში გავლა შეუძლებელია და სხვა. ყველა ამას ადვილად შეურიგდებოდა კაცი, რომ ქალაქის თვითმართველობა აქაურ მცხოვრებთ უწყლობით არ აღრჩობდეს.

როგორც მოგეხსენებათ, ნაძალადევში სცხოვრობს უმეტესათ ღარიბი ხალხი, ამიტომ აქაურ მცხოვრებლებს თავის დროზე ვერ შეუძენიათ ქალაქისგან წყალსაზომი. აქ იშვიათად შეხვდებით ისეთ სახლს, რომელსაც წყალსაზომი ჰქონდეს. ეხლა კი თვით ქალაქსაც არ მოეპოვება ის. ამიტომ ქალაქის თვითმართველობას გადაუწყვეტია, იმ სახლებში მცხოვრებთ, სადაც წყალსაზომი არ აქვთ. გადაახდევინოს სულზე დღეში 5 ვედრა წყალის ღირებულება, რაც შეადგენს თვეში 7 მან 50 კ. და ეს კი მეტათ სამძიმოა მცხოვრებთათვის

ავიღოთ მაგალითად, რომ ერთ ოჯახში, რომელსაც უჭირავს ერთი ოთახი, ცხოვრობს 6 სული, მან უნდა გადაიხადოს წყლის ფული თვეში 45 მანეთი, მაშინ როცა ის აძლევს ოთახში ქირას 15—20 მანეთს. ასეთი გადასახადის დაწესება წყალზე იწვევს მცხოვრებლებში დიდ წყრომას და ეს წყრომა სამართლიანიცაა, იმიტომ, რომ თვითეული ოჯახი ვერ დახარჯავს დღეში, საშუალო რიცხვით რომ ავიღოთ, 5—6 ვედრაზე მეტს, რის ღირებულებაც შეადგენს თვეში არა უმეტეს 9—10 მანეთისა, მან კი, ნაცვლად 9 მანეთისა უნდა გადაიხადოს 45 მანეთი. ეს იმიტომ რომ ქალაქს არ მოეპოვება წყალსაზომი და არ აქვს საშვალება გამოარკვიოს თუ რამდენი წყალი იხარჯება თვითეულ სახლზე. უნდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში ნაძალადევში მცხოვრებთ არავითარი ბრალი არ უდევს და ამიტომ ისინი არც უნდა იხარჯებოდნენ. შეიძლება ქალაქს მართლაც დეფიციტი ქონდეს წყალსადენის ნაწილისაგან, მაგრამ ამ დეფიციტის შევსება სხვა საშვალებით უნდა ხდებოდეს და არა ისედაც გაძვალ-ტყავებულ ხალხის ჯიბიდან.

აგერ ერთ კვირაზე მეტია რაც ქალაქში დაიკეტა წყალი იმ ეზოებში, სადაც წყალსაზომი არ არის (ალბათ ფულის გადაუხდელობის გამო) და ამან პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ნაძალადევში მცხოვრებნი.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, თორემ უსუფთაობის გამო ეპიდემია გაძლიერდება და მოედება როგორც ნაძალადევს, ისე ქალაქსაც და მაშინ კი ქალაქს გაცილებით მეტი დაეხარჯება, ვიდრე დღეს ეხარჯება.

დ. ულენტი.

## საფრანგეთის პარლამენტი საზავო ხელშეკრულების შესახებ

ბურჟუაზიული და სოციალისტური გაზეთები საფრანგეთისა ერთხმად აღიარებენ, რომ 29 აგვისტოს სხდომა პარლამენტის ისტორიულ დღეთ ჩაითვლება. მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოსთქვეს ამ დღეს მორის ბარესმა და ალბერტ ტომამ. უკანასკნელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

ბარესის სიტყვა:

პატრიოტთა ლიგის პრეზიდენტის სიტყვა, თუმცა იყო მშვიდობიანი კილოსი, მაგრამ მაინც არ უქარვებდა გულს მემარჯვენეებს. უკანასკნელნი ზრდილობის გულისათვის ტაშს უკრავდენ ბარესს. ორატორის სიტყვის ზოგიერთ ადგილებმა მემარცხენეთა ტაში გამოიწვიეს. მისი სიტყვა არ იყო ისეთი იმპერიალისტური სულით გაჟღენთილი, როგორც ყოველთვის. ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა საფრანგეთის ხელში იყოს რეინის სიმაგრეები, რომელთაც შეუძლიანთ უზრუნველ ჰყონ საფრანგეთის ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის საზღვრები ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ რეინის სტრატეგიულ საზღვრების შესახებ, არამედ უნდა დავფიქრდეთ იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეასრულოს საფრანგეთმა შემოერთებულ ოლქების მცხოვრებთა წინაშე თავისი დაპირებანი, შესაძლებელია, ხალხმა ჩვენ არ მიგვიღო სიყვარულით და სიმპატიით, მაგრამ მან პირი არ შეგვიბრუნა ჩვენ. ბურჟუაზიულ წრეებს ახსოვთ კეთილის მყოფი რეჟიმი ჟან ბონსენ ანდრესი. სამღვდელოებამ, რომელიც არ ენდობოდა საერო საფრანგეთს—ეკლესიების კარები გააღო ჟანა დარკის წინაშე.

მხოლოთ მშრომელი კლასი გაფრთხილებით იქცევა და ალმაცერათ უცქერის საფრანგეთის გავლენას. უკმაყოფილო ელემენტების მიმართ ჩვენ ისეთი პოლიტიკა უნდა ვიხმაროთ, რომ ისინი ჩვენკენ გადმოვიბიროთ. ამ უკმაყოფილოთა ზრახვებს ასე ხატავს ბარესი:

გერმანელ მცხოვრებლებს სურთ დარჩენ გერმანელებათ, მაგრამ მათ არ უყვართ პრუსია და სურთ ავტონომიურათ იცხოვრონ გერმანიის კავშირში. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ მორალურათ გავიმარჯვოთ ხალხში. არის ეკონომიური კითხვები, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებენ. ბარესი ათავებს თავის სიტყვას მთავრობისადმი მიმართვით: ის მოუწოდებს მთავრობას გააცნოს პარლამენტს ის გზები, რომლითაც სურს მნიშვნელოვან კითხვების მოგვარება.

ალბერტ-ტომას სიტყვა.

ბარესის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ალბერტ-ტომა. წინა ორატორები—ამბობს ტომა—ძლიერ კითხვებს და მოჰყავდათ ისეთი დებულებები, რომელიც ცხად ყოფდა რომ უნდა უარვყოთ საზავო პირობები—მაგრამ სრულიად ულოღიკოთ თავიანთ სიტყვებს ათავებდენ იმ განცხადებით, რომ მისაღებია საზავო პირობები და ხმას მივცემთ მასო. ბარესის დაგვარათ მსურს მთავრობას რამოდენიმე კითხვები დავუსვა და ველი მისგან გარკვეულ პასუხს: პირველ ყოვლისა—რა გარანტიას იძლევა საზავო პირობები, რომ ჩვენ ხელახლათ თავს არ დაგვესხმიან? მე ვერ ვხედავ გარანტიას იმაში, რომ უფლება გაქვთ გერმანიის ამუნიციის წარმოება შეზღუდოთ. გეგმა ამუნიციის წარმოების ყოველთვის შესაძლებელია გამოურკვეველი დარჩეს. ლითონის დაგროვება კი შესაძლებელია ახსნან იმით რომ ეს საჭიროა მრეწველობისათვისო. თვით მთავრობამ ეს კარგათ იცოდა, რაც დაამტკიცა თავის 25 თებერვლის ნოტით, სადაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის დებულება, რომელიც ეხლა საზავო ტექსტში არის. მთავრობას გარანტიათ მიაჩნდა რეინის მარცხენა ნაპირის მუდმივი ოკუპაცია. ამის შესახებ ინგლისის და ამერიკის პრესამ განგაში ასტეხეს საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. შარლ ბენუა იძახდა: ის გარანტიები, რომლებიცჩვენ გვინდოდა მიგვეღო, ჩვენ არ გვაქვს. კობლენცი, მაინცი, კელნი, შეიძლება გადაქცეულიყო ხალხთა ლიგას და ამგვარათ გერმანელების მიმართ—„უფლებისათვის მატერიალური ფორმა მიგვეცა". არ მიიღეს ოკუპაციის პოლიტიკის ან-და ამ ადგილების ნეიტრალიზაციის პოლიტიკა, ჩვენ დავრჩით მოკლებული ყოველივე გარანტიას. ხელშეკრულებაში არის სხვაგვარი გარანტია, ეს არის 213 მუხლი, რომელიც ეხება ხალხთა ლიგას.

1914 წლიდან მოყოლებული საფრანგეთის ხალხს სურს უზრუნველჰყოს თავისი თავი. არა მარტო ჩრდილოეთიდან, არამედ ყოველ მხრიდან. ჩვენ ეს გვესმოდა ომის დროს, როგორც ჯარისკაცებისაგან, დედაკაცებისაგან, აგრეთვე ყველასაგან. ედგარ მილომ ეს სურვილი გამოსთქვა თავის წიგნში „არასოდეს".

მე კარგათ ვიცი—ამბობს მომქმედი პირი გლეხის ქალი, რომ საფრანგეთს არასოდეს არ უნდოდა ომის დაწყება მაგრამ ჩვენ უნდა შეურიგდეთ მას, მიტომ რომ არასოდეს აღარ განმეორდეს ომი ფრონტზედაც. ჩვენ ეს გვესმოდა. მოიგონეთ ლამაზი სიტყვები ერთ ერთ სარდლისა, რომელიც ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ვერდენთან: ჩვენი ჯარისკაცები გაიმარჯვებენ. ისინი კვდებიან და ჰკლავენ იმიტომ, რომ მოჰკლან ომი. ბრძოლაში მათი სინიდისი წმინდაა". მომავალი ჩვენი მუშაობა არ უნდა ვაწარმოვოთ ისე, რომ გამოიწვიოს ჩვენი დაქსაქსვა—ხელი უნდა ავიღოთ იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც საფრანგეთი ერთი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდა.

ზოგიერთი ნაციონალისტები მთავრობას უსაყვედურებდნენ, რომ მან ვერ გამოიყენა ის პარტიკულიარისტული ტენდენციები, რომლებიც იყო გერმანიაში. მათის აზრით, საჭირო იყო გერმანიის დაქუცმაცება. ზრუნვა გერმანიის დაქუცმაცებაზე ცუდი ავანტიურაა. მაშასადამე, რჩება პოლიტიკა, რომელიც ხალხთ ანიჭებს თავისუფლებას თავის ბედის მოწყობაში. ჩვენ ახლა აშკარათ ვაცხადებთ, რომ საფრანგეთში უკანა რიგზეა, სწორეთ რომ ვსთქვათ, დევნილია ის პოლიტიკა, რომელიც იცავს ხალხთა უფლებებს. როგორ უყურებს მთავრობა ჩვენს და გერმანიას შორის დამოკიდებულებას?

ის ვალდებულებანი, რომელიც გერმანიას დაეკისრა საზავო პირობებით, მეტის მეტად ართულებენ და ამწვავებენ საფრანგეთ გერმანიის ურთიერთობას. არიან ისეთები, რომელნიც გერმანიის ხალხს და მისი პანგერმანისტულ ხელმძღვანელობის შუა სვამენ თანასწორობის ნიშანს. ჩვენ არ უნდა ავაშენოთ ამ შეხედულებაზე ჩვენი მომავალი ურთიერთობა.

ჩვენ უნდა გადავათვალიეროთ ყველა ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ომის დროს; ლიბკნეხტის კამპანია, დამოუკიდებელ სოციალისტების აგიტაცია და სხ.. და აქედან გამოვიყვანოთ ისეთი დოკტრინა, რომელიც ყველას გაგვაერთიანებს. ეს დოკტრინა გამოითქმება ასე პასუხისმგებლობა, ანუ ცოდვების მონანიება, აღდგენა დარღვეული წესრიგისა. ეს დოკტრინა ნაწილობრივ არის საზავო ხელშეკრულებაში განხორციელებული, ეს ახალი მოვლენაა საერთაშორისო დამოკიდებულებაში. „პირველად ითქვა, რომ ომი არის დანაშაული და დამნაშავეებმა პასუხისმგებლობა უნდა ზიდონ".

მე ამიტომ არა ვარ წინააღმდეგი ვილჰელმის გასამართლებისა. ეს სასამართლო არ არის აცილებული საფრთხისაგან, მას შეუძლია გააღვივოს რევანშის იდეა და თავმოყვარეობაც შელახოს, მაგრამ თუ სასამართლომ გამოარკვია თუ ვინ არის ამ ომში დამნაშავე და გაამჟღავნა თუ ვინ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, მაშინ ის მაღალ წევს კაცობრიობისათვის საოცნებო შედეგს.

გერმანია არ არის ის შავი ხვრელი, რომლის წინ შიშით შეჩერდებიან ხოლმე. გერმანიაში ცხოვრობენ ხალხნი, რომლებსაც ესმით სამართლიანობის და დემოკრატიის ლოზუნგები.

## ქალაქის საბჭო

29 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქალაქში ეპიდემიურ ავადმყოფობათა მიმდინარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მედიკო სანიტარული ინსპექტორი მეუნარგია, მოხსენება ცნობათ იქნა მიღებული.

თფილისის სურსათით მომარაგების შესახებ მოხსენებას აკეთებს სასურსათო განყოფილების გამგე კ. პანიევი.

მოხსენება ცნობათ იქნა მიღებული.

სანიტარული გადასახადის შემოღების გამო თავისუფლად ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველად სავალდებულო დადგენილებათა პროექტს აცნობს.

6. ელიავა. ვინაიდან, ამბობს მომხსენებელი, მთელი სანიტარული გადასახადი საქონელზე იქნა გაწერილი, ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ამის წინააღმდეგ საბრძოლველი დადგენილება. ეს დადგენილება მოწონებულ იქნა იურიდიულ კომისიის მიერ. მან საჭიროთ ცნო ამ თვითნებობასთან ბრძოლა. ვინაიდან სასამართლოს აპარატი ჯერ ისე ვერ არის მოწყობილი, რომ საჩქაროთ აწარმოოს ეს ბრძოლა, ამიტომ შესაძლებელია ამ დადგენილების ცხოვრებაში დაჩქარებით გატარება მხოლოდ ადმინისტრატიულ წესით. ამის უფლება კი თვითმართველობას არა აქვს, ამიტომ უნდა ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას, რომ მან გამოიმუშაოს შესაფერი დეკრეტი ანუ კანონი, რომელიც მიანიჭებს თვითმართველობას უფლებას ასეთ შემთხვევებში ადმინისტრატიულ ბრძოლისა. ამ დადგენილებას უნდა მივსცეთ სანქცია 29 მუხლის ძალით, რომელიც უფლებას აძლევს თვითმართველობას კანონიერ ფარგლებში გამოსცეს შესაფერი დადგენილება.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: „მთავრობას მიეცეს უფლება ნება დართოს ადგილობრივ თვითმმართველობებს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ადმინისტრატიულ წესით ბრძოლისა".

მიღებულ იქნა გამგეობის მოხსენება ქართულის არ მცოდნე მოსამსახურეთათვის ქართული ენის კურსების დაარსების და მის შესანახათ 20,000 მ. გადადების შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათ თანახმად ქალაქის მოურავის მოხსენებისა გადაიდო 20,475 მან.

სხვადასხვა პირთა საჩივარი სანიტარულ გადასახადის შემცირების შესახებ, გარდა ფერშლების შუამდგომლობისა, რომელთაც 50 პროცენტით შეუმცირდათ გაწერილი გადასახადი, უარყოფილ იქნა.

მეშვიდე უბნის სასანიტარო სამზრუნველოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნესტორ ზ. სხულუხია.

ქალაქის წყალსადენის მუშის კონსტანტინე კორგანოვის ოჯახს მიეცა დახმარება 4,323 მან. 27 კ.

დასასრულ მოისმინეს მზარეულოვის შეკითხვა, სახლების რეკვიზიციის მოხსნის შესახებ და ამაზე ბ. ჩხიკვიშვილის მოხსენება—პასუხი, რომლითაც უარყოფილ იქნა სახლების რეკვიზიციის მოხსნა არსებულ არა ნორმალურ პირობების გამო.

მორიგ საკითხების გარჩევის შემდეგ სხდომა დაიხურა ღამის 12 ს.

## უცხოეთი

შ ვ ე ი ც ა რ ი ა.

შვეიცარიაში დამთავრდა ლითონზე მომუშავეთა ყრილობა. ცხარე კამათი გამოიწვია კითხვამ თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ციურიხის, ბაზელის და ჟენევის სექციები მოითხოვდნენ, რომ იმ სექციებს, რომელთაც 1000 მდე წევრი ჰყავთ, უნდა მიენიჭოთ უფლება გაფიცვის დამოუკიდებლათ გამოცხადებისა ამ სექციების მიზანი იყო ცენტრალურ კომიტეტის ძალაუფლების შესუსტება. ეს სექციები არ მალავენ, რომ მათი წინადადება გამოწვეულია მით, რომ შეიქნას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, რომლებმაც ბრძოლა უნდა გამოუცხადონ კაპიტალისტებს. ეს წინადადება უარყოფილ იქნა დიდი ხმის უმრავლესობით. რეზოლიუცია, რომლითაც ნდობას უცხადებდნენ ცენტრალურ კომიტეტს, დიდი ხმის უმრავლესობით იქნა მიღებული.

## კოოპერატიული მოძრაობა

ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირი.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი ერთი უდიდესი და უძლიერესი ორგანიზაციაა ჩვენში. მისი საოპერაციო თანხები მილიონობით ითვლება და წმინდა მოგება კი ასი ათასობით. ის დღეს აწარმოებს დიდ აღებ-მიცემობას: იძენს და ყიდის საქონელს ვაგონობით და გემებით. კავშირს აქვს საკუთარი სახლი კანტორისთვის დიდუბეში, რომელიც 1 ნახ. მილიონი ღირს, აქვს აგრეთვე საკუთარი უზარმაზარი საწყობი, თავისი ავტომობილები და ეტლები. კავშირში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ასობით ითვლება. მუშაობის პირობები კავშირში საუკეთესოა: მუშა მოსამსახურეები კავშირში უკეთესად არია დაკმაყოფილებულნი, ვიდრე რომელიმე სხვა ჩვენს დაწესებულებაში. კავშირს ჰყავს საკმარისი რიცხვი მომზადებულ ინსტრუქტორებისა, რომლებიც სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ სოფლად მრავლად გაფანტულს კოოპერატივებს. კავშირის ხელმძღვანელობით მოეწყო მაზრებში რაიონული კავშირები, რომლებიც აერთებენ მაზრის კოოპერატივებს და უკავშირებენ მათ მთავარ ამიერ-კავკასიის კავშირს.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი თანდათან შლის ფრთებს და მომხმარებელ კოოპერატივთა ტიპიდან გადადის მწარმოებელ კოოპერაციაზე. კავშირს თფილისში აქვს საკუთარი მექანიკური სახელოსნო, სტამბა, საპნის ქარხანა, და ძეხვების ფაბრიკა, გორში კი კონსერვის დასამზადებელი ფაბრიკა. სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს ეს უკანასკნელი. აქ საზამთროდ დაამზადებენ ხილის, მწვანილის და ხორცის კონსერვებს და დაუგზავნიან კოოპერატივებს. კოოპერატივს აქ გაუჩენია პატარა ბოსტანი და იჯარით აუღია რამდენიმე ხილის ბაღი. შემდეგში ის აქ აპირობს დიდი ბოსტნის გაშენებას და ბაღების იჯარით აღებას.

აქვე უნდა ითქვას რამოდენიმე სიტყვა გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირზე. ეს კავშირი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს უცხო კაცზე და მაშინათვე იპყრობს მის ყურადღებას. გორის კავშირს წრეულს დიდი ბოსტნები და ბაღები აქვს და ფიქრობს თავის ნაწარმოების ძლომად გამოიტანოს ბაზარზე. ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა ამ ბოლო დროს მიაქცია დიდი ყურადღება მეორე მხარეს თავის მოქმედებისა, სახელდობრ. კულტურულ განმანათლებელ მუშაობას. მან რამოდენიმეჯერ მოაწყო საკოოპერატიო კურსები და ლექციები და ამ ბოლო დროს შეადგინა საკუთარი ქართული კაპელა. ეს კაპელა 13 ამ თვიდან გაემგზავრა პროვინციაში ჩვენი პატივცემული მუსიკ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით. კაპელაში ორმოცამდე ქალ ვაჟია. პირველ მათ დებიუტს შემთხვევით დავესწარი ქ. გორში. ხალხს თუმცა გვიან შეატყობინეს, მაგრამ საკმარისი საზოგადოება დაესწრო და დიდათ ნასიამოვნებიც დარჩა კაპელას განზრახული აქვს მოიაროს რკინის გზის მახლობლად მდებარე ქალაქები და ადგილები და შემდეგ წავიდეს ფრონტზე, სადაც რამოდენიმე დღეს დაყოფენ და გამართავენ კონცერტებს. ეს კი დიდათ საჭირო, სასარგებლო და სასიამოვნო იქნება ფრონტისთვის, ასეთსავე გასეირნებას აპირებს კაპელა საქართველოს სხვა კუთხეებისაკენ. ლაპარაკის დროს ერთმა კავშირის გამგეობის წევრმა ის აზრიც კი გამოსთქვა, რომ მომავალ წელში შეიძლება დაისვას საკითხი საკუთარი უნივერსიტეტის დაარსებისაო.

აქ არ შემიძლია არ მივაქციო საზოგადოების ყურადღება იმ სამწუხარო მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს პროვინციაში. ბევრ ადგილას ერთგვარი გაუგებრობა არსებობს კოოპერატივებსა და ერობებს შორის. ისინი ერთმანეთს თითქოს ეჯიბრებიან, ეცილებიან საქმეში, რაც საერთო საქმეს დიდად ვნებს. ამას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება როგორც ერობის, აგრეთვე კოოპერაციის მოღვაწეთა, რომ მათ შორის დამყარებულ იქნას კონტაქტი. მათ ძმურად უნდა განსაზღვრონ სფერო თავიანთ მოქმედებისა. თორემ ამით საქმეს დიდათ აზარალებენ.

ს. სიხოშვილი.

## ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტი

ავლაბრის დემოკრატია დღემდის მოკლებული იყო კულტურულ ცხოვრებას, მაგრამ რაც იყო ბნელის ისტორიას ჩაბარდა და ავლაბარში უკვე აშკარად ჩირაღდანი გათვითცნობიერება და შეგნება შეკავშირებისა. ამის უტყუარ საბუთებს იძლევა შემდეგი გარემოება: ავლაბარში დღეს ადგილობრივი ამხანაგების ინტენსიური მუშაობის წყალობით უკვე არის სახალხო უნივერსიტეტი და მუშათა კლუბი, რომლის გარშემო იკრებს იყრის ავლაბრის ფართო დემოკრატია. 27 ენკენ[illegible] [illegible] უნივერსიტეტი [illegible] [illegible] [illegible] დღეს [illegible] უნდა [illegible] მართელს. საერთო მდგომარეობა დღეს გულგატეხილობის და იმედის დაკარგვას იწვევს მუშათა წრეებში, დიდია გაჭირვება და ეკონომიური სიმწვავე და ეს არის უმთავრესად მიზეზი მისი, რომ დემოკრატია ამ ჟამად ასე ფიქრობს თუ რითი შეიცვლება ხვალინდელი დღე და რას მოგვიტანს ის, ამიტომ გულცივობას და ინდიფერენტიზმს მასაში ადგილი აქვს და საჭიროა დიდი სულიერი ძალა დასაძლევად. აი ამ მხრივ ამხ. ივ. გომართელის მოხსენებამ თანამედროვე მდგომარეობაზე და ჩვენი რესპუბლიკის მომავალზე, წაკითხულმა 27 ენკენისთ. მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. მოხსენება იყო ყოველმხრივი, დასახელებული იყო ცხოვრების სიძვირის მიზეზები, ომები, რევოლიუცია, რუსეთის ანარქია და სხვა, დაახლოვებით გადმოგვცა აგრეთვე ინგლისის სიმპატია ჩვენი რესპუბლიკისადმი, და ასეთმა საუბარმა მუშებს იმედები აღუძრა. ასეთი საუბრები ხშირათ უნდ უნდა მოეწყოს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში, ეს გეგმა შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის ადგილობრივ გამგეობას, დაგვრჩენია მხოლოდ მისი ცხოვრებაში გატარება.

ვერხვი.

## მუშათა შორის

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. ამა წლის 15 ოქტომბრისთვის რკინის გზის ცენტრალურ კავშირის გამგეობის მიერ დანიშნულია მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობა ქ. თფილისში სხვადასხვა კითხვების განსახილველად. ამ ყრილობაზე, სხვა კითხვათა შორის, უნდა გაირჩეს საკითხი თვით კავშირის შემადგენლობის შესახებ, ე. ი. რკინის გზის მუშამოსამსახურეთა კავშირში დარჩნენ თუ არა ადმინისტრატიული პირები გადატრიალების პირველ ხანებში კავშირში შედიოდნენ ყველა ადმინისტრატორებიც და არა ადმინისტრატორებიც. შარშანდელმა ყრილობამ სასურველად დაინახა უმაღლეს ადმინისტრატორების კავშირიდან გამორიცხვა და ახლა კი შეხედულებაა დაბადებული, რომ კავშირიდან გარიცხულ იქნეს საერთოდ ყველა ადმინისტრატორები. არიან იმისთანა მოსაზრებისაც, რომლებიც მხარს უჭერენ ისევ მთლიანი კავშირის დარჩენას და ეწინააღმდეგებიან კავშირიდან ადმინისტრატიულ პირების გამორიცხვას, დაბალს და საშუალოსას მაინც. თავდაპირველათ, აღსანიშნავია, რომ პრინციპიალურათ ეს საკითხი უდავოთ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სულ სხვადასხვა მოვალეობები აქვთ შესასრულებლად რკ. გზაზე ადმინისტრატიულ პირებს და ისე მუშა-მოსამსახურეებს და ამას იმასაც თუ დაუმატებთ, რომ ჩვენ მომავლის ხალხი ვართ, ე. ი. მივილტვით სოციალიზმისაკენ, რომლის განხორციელების ინიციატივა თავს უნდა იდვას ისტორიულათ მუშ. კლასმა—თავისთავად ცხადია, რკ. გზ. უნდა დაარსდეს ერთი მთლიანი მუშა-მოსამ. კლასიური ორგანიზაცია, უადმინისტრაციოთ. მართალია, გადატრიალების პირველ ხანებში ეს კავშირი იყო შერეული და არავითარ გამოცალკევებას მაშინ ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ მთლიანმა კავშირმა მაშინდელ ხანებში დიდი სამსახური გაუწია, როგორც რევოლიუციას, ისე თვით მუშათა კლასს. ძველი წესწყობილების მოსპობასთან ერთად მოისპო მთელი მისი ადმინისტრატიული აპარატი და აი სწორეთ ამ არევ დარევის დროს ადმინისტრატიული პირების და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა თავს იდვა სწორეთ ამ შერეულმა რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა რევოლიუციონურათ შექმნილმა კავშირმა.

დღეს კი ჩვენი მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულია და თან გამორკვეულია. დღეს ჩვენ გვყავს სრული უფლებიანი ხალხის მიერ არჩეული დამფ. კრება და მის მიერვე ნდობით აღჭურვილი მთავრობა, რომელსაც უეჭველია უნდა დაექვემდებაროს მთელი რკ. გზის ადმინისტრაცია. დღეს დღეობით კიდევ ადმინისტრატორების კავშირში დატოვება მოასწავებს მათზე ორ უფლებიანობის გავრცელებას—კავშირისას და მთავრობისას, რაიც უეჭველია გამოიწვევს და იწვევს კიდევ ადმინისტრაციის სისუსტეს და ამით რთული რკ. გზის წარმოების საქმე ფერხდება; ეს კი არ არის სასურველი არც სახელმწიფოსთვის და არც თვით მუშებისთვის. ჩვენ დღეს ჩვენს დემოკრატიულათ არჩეულ მთავრობას სრული საშუალება უნდა მივცეთ გაუძღვნენ და უხელმძღვანელონ რკ. გზის და მის ადმინისტრაციას ისე, როგორც ეს მათ შეხედულებით საქმისთვის სა-

სარგებლო იქნება და ამ მხრივ პასუხისმგებლობაც მათზე უნდა იყოს. აქედან თავის თავად იბადება საჭიროება კავშირში ადმინისტრატიული პირების არ შესვლისა. კავშირში შესულმა მუშა-მოსამსახურეებმა კი ხელი უნდა მიჰყონ თავისი პირდაპირი დანიშნულების და მოვალეობის შესრულებას ე. ი. რკ. გზაზე მუშათა მასაში მეტი თვითგანვითარების შეტანას, მათი კლასიურათ გამაგრებას, გაძლიერებას და სხვა. რასაკვირველია პირველი შეხედვით ძნელი წარმოსადგენია დღეს რკ. გზაზე არსებული ერთი მთლიანი ორგანიზაციის გაყოფა (ადმინისტრატორებათ და არა ადმინისტრატორებათ.), მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, ყოველივე ზემოხსენებულს, ეს წარმოდგენა დაძლეული უნდა იქნეს და საქმის ინტერესისთვის შეიქნეს რკ. გზაზე ერთი მთლიანი მუშა მოსამსახურეთა ორგანიზაცია უადმინისტრაციოთ. იმედია მომავალი რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა ყოველივეს გაითვალისწინებს და შესაფერ დადგენილებასაც გამოიტანს ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის გასამაგრებლად და მუშათა კლასის მომავალი იდეალების განსახორციელებლად. დეპო.

# პროვინცია

**ძველი სენაკი.** აქ არსებობდა ყოფილი ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის და შემდეგ გიმნაზიის ნაწილი პირველ დაწყებითი მოსამზადებელი ოთხგანყოფილებიანი ვაჟების სკოლა. დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ სკოლის კარგ საფეხურზე დაყენებასა და მოწაფეთა აღზრდაში ყველა იქ მყოფთ სხვადასხვა დროს გამგეთ ს. ყიფიანს, არსენ წითლიძეს და ოკროშიძეს, პ. ლორთქიფანიძეს და გიორგი ბოკერიას, მასწავლებელთა ნიკო ჯანაშიას, ა. შუბლაძეს, რ. გამსახურდიას, ვ. ცეკვაშვილს, ტ. ხოფერიას და სხვებს, რომელთა სახელს ადგილობრივი საზოგადოება პატივისცემით იხსენიებს და არც დაივიწყებს. ეს ოთხ განყოფილებიანი სკოლა ბევრ ახალგაზრდას უკაფავდა გზას განათლებისაკენ. ამ სკოლის დამთავრებისათანავე გაჭივრებული გლეხიც კი აგზავნიდა შვილს გიმნაზიაში პატივცემულ სკოლის დირექციის წაქეზებით და დახმარებით. თუმცა დიდ ტანჯვას განიცდიდა მატერიალურის მხრივ ეს გლეხის შვილი მაგრამ მაინც აღწევდა მიზანს და გიმნაზიას ამთავრებდა და შემდეგ გზა ეხსნებოდა უმაღლესი სწავლა განათლების მისაღებად. ბლომათ არის იმათი რიცხვი, ვისთვისაც ამ შკოლას უჩვენებია გზა განათლებისაკენ და რომელნიც დღეს, უკვე მიზანს მიღწეულნი, სამშობლოს საკეთილდღეოთ, ზრუნავენ. ასე თუ ისე ამ სკოლას დიდი სარგებლობა მოჰქონდა, მაგრამ დღეს გარემოებად შეიცვალა, ცხოვრებამ წინ წაიწია და მოთხოვნილებანიც გაფართოვდა; ამასთანავე აქ გაიხსნა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, სადაც მუშას შეუძლია ოთხი განყოფილების სამაგიეროთ ოთხი კლასი შეასწავლოს შვილს და ყველა ამან ზემო აღნიშნულ სკოლას ფასი დაუკარგა სკოლაში მოწაფეთა რიცხვმა დაიკლო და ის იყო სკოლის მიხურვაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ დროს სკოლის გამგემ გიორგი ბოკერიამ ხალხის სულიერ მოთხოვნილებას ბოლო აუღო და ეს სკოლა სხვათა დახმარებით სასოფლო სამეურნეო სკოლათ გადაკეთდა.

სასურველია სხვა საქმის მცოდნენიც ჩაუდგებოდნენ სათავეში ამ ახალ სამეურნეო სკოლას, რომელნიც ბავშვების აღზრდასთან ერთად საზოგადოებასაც უჩვენებენ მეურნეობის გაუმჯობესების მაგალითს. კალისტრატე ბოხუა.

---

**ს. მეჯვრისხევი** (გორის მაზრა). მეჯვრისხევი არის ცენტრი 80—85 ქართლის სოფლისა, ამ სოფელს ბევრი კულტურული დაწესებულებები მოეპოვება; არის 2 სკოლა, კარგათ მოწყობილი ამბულატორია (ბ-ნ ექიმ მიროტაძის ზედამხედველობით), კოოპერატივი, რომელიც ახალი გამგეობის წყალობით კარგათ არის დაყენებული, ბიბლიოთეკა, „გამსესხებელ დამხმარე ამხანაგობა“, ამიტომ მეჯვრისხევი ერთი ღვაღსაჩინო სოფელთაგანია ქართლში, ამასთანავე მას ძალიან ხელს უწყობს მდებარეობაც, სოფელი უხვათ არის დაჯილდოვებული ვენახებით, ტყით, მინდვრებით და მდინარით აქვს აგრეთვე ბევრი ნაკლიც—მაგალითად ძალიან ბევრია ღვინის სარდაფები. ცუდათ არის მოწყობილი ადმინისტრაცია, რომლის უუნარო მოქმედება საშუალებას აძლევს თავაშვებულ და უპასუხისმგებლო ელემენტებს თავისუფლად ითარეშონ სოფელში. ამის გამო არის რომ სოფელი ამ უპასუხისმგებლო ელემენტებს, ომის მდგომარეობაში ჰყავთ და გამუდმებული თოფის სროლით მშვიდობიან მცხოვრებთ შიშში აგდებენ. ამ თავაშვებულ ვაჟბატონებისგან იყო, რომ 24—25 აგვისტოს, ღამე მოჰკლეს (ხანჯლით აკუწეს) გლეხი, გიგა იარდალაშვილი, რომლის მკვლელი არამც თუ ვერ დაიჭირეს, ძებნასაც კი არ შეუდგა აქაური ადმინისტრაცია. სხვა მივარდნილ სოფლებში უარესი მაგალითები ხდება სოფელ ხურვალეთში, რომელიც ამ ცენტრს აკრავს 5—4 ვერსის მანძილზე, მთელი თვეობით და კვირაობით სცხოვრობენ ტყეებში თავაღებული სოფლის ნაძირალები და მუდმივ შიშის ზარს სცემენ მშვიდობიან მცხოვრებთ, უთვლიან გლეხებს; ფულს, სანოვაგეს, ყოველივე აუცილებელ საჭირო ნივთებსართმევენ და იქამდის მიდის მათი სითამამე, რომ შუადღისას სრულიად უშიშრად მილიციისა სტეხენ და სძარცვენ მცხოვრებთა სახლებს.

უფრო გასაკვირველი ის არის, რომ მგონი მაზრის კომისარმა დღესაც არ იცის, რომ მის სამფლობელოში ასე საშინლად, ასე მხეცურად იქნა მოკლული კაცი. მცხოვრებნი სრულიად უპატრონოთ და შიშ ქვეშ ცხოვრობენ. სრული იმედი აქვთ დაკარგული, რომ ოდესმე მშვიდობიანობა დამყარდეს. ამიტომაც არის, რომ ხშირათ გაიგონებთ პასუხისმგებელ ამხანაგებისგან სოფლად შემდეგს: „სოფლად ანარქია იდგამს ფეხს, უპასუხისმგებლო ელემენტების პარპაშს ძალიან ხელს უწყობს ჩვენი უმოქმედო ადმინისტრაცია, ყველა ამ დამაფიქრებელ და გამაფრთხილებელ ცნობებს ვაწვდით სადაც ჯერ არს, მაგრამ ყოველთვის უყურადღებოთ რჩება ყოველივე ჩვენი განცხადებები და მოხსენებები“. და მართლაც თუ ყველა პროვინციიდან მოწოდებულ დამაფიქრებელ, შემაძრწუნებელ ცნობებს ყოველთვის უყურადღებოთ დასტოვებენ ჩვენი უმაღლესი ადმინისტრატიული ორგანოები, მაშინ ახლო მომავალში, ჩვენ კარგ ანარქიის და არევ დარევის მოწმე ვიქნებით გორის მაზრაში და კერძოთ კი ს. მეჯვრისხევის რაიონში. საჭიროა რიალური და მტკიცე ზომები; საჭიროა მეჯვრისხევის მცხოვრებთა შორის აღმოჩენილ ნაძირალების ალაგმვა თორემ გაფუჭებული საქმის გამოკეთება შემდეგ გვიანღა იქნება. მ.

# ბიბლიოგრაფია

„ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები“. I ნიკოლოზ ბარათაშვილი. ს. ხუნდაძისა. ქუთაისი, გვ. 42.

ბ. სილოვან ხუნდაძეს, მშვენიერი და დროს შესაფერი მიზანი აქვს დასახული, შეძლების დაგვარადაც ასრულებს მას. ეს არის სკოლებში შესასწავლ ჩვენი მწერლების ბიოგრაფიების და თხზულებათა გარჩევის ცალკე წიგნების გამოცემა. მან უკვე გამოსცა ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, აკაკის და რაფიელ ერისთავის ნაწერთა გარჩევანი, რომელსაც ბ. ხუნდაძე სახელმძღვანელოებს უწოდებს. ეს სახელწოდება მართლაც შესაფერია, ვინაიდან ამ შრომებს წმინდა „მოწაფური“ ელფერი აძევს და მაინცა და მაინც არ მოგვაგონებს ნაფიც ლიტერატურულ კრიტიკოსის განხილვას. ბ. ხუნდაძე პედაგოგია და მან კარგათ იცის თუ რა გვარათ უნდა გაეცნონ შეგირდები ამა თუ იმ მწერალს. აი ამიტომ არის ეს სახელმძღვანელოები ჩვენი სკოლებისთვის მიუცილებელი საჭირო და სასარგებლო. ამნაირად ვაფასებთ რა საერთოდ ამ წიგნაკებს, აუცილებლივ საჭიროებათ მიგვაჩნია ჩვენი აზრი გამოვსთქვათ თითეულ მათგანის ღირსებანაკლულევანების შესახებ.

ამ წიგნაკის მეორე თავში ბ. ხუნდაძე ბარათაშვილის პესიმიზმს ეხება, მისი აზრით მგოსანი პესიმისტია, არ მოსწონს ეს ქვეყანა და უარყოფით უყურებს მას. ბოლოში კი დაასკვნის: „ამ სახით პესიმისტ მგოსანს მაინც კიდევ სწამს სიკეთე და კეთილშობილური მისწრაფება—და ცხოვრებაში ადამიანის დანიშნულებას ოპტიმისტური თვალით შესცქერის“. ო. აქ რაღაც გაურკვევლობაა—თუ ბარათაშვილი პესიმისტია, მაშინ არ შეიძლება რომ ოპტიმისტურად უყურებდეს რაიმეს, ასეთი წინააღმდეგობა შეუძლებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითონ ბ. ხუნდაძეს ვერა აქვს კარგად გამორკვეული ბარათაშვილის კეთილშობილური გოდების ხასიათი, იმ გოდების, რომელიც მართალია დასტირის ცხოვრების სიავეს, მაგრამ უნუგეშო პესიმისტი მაინც არ არის. ბარათაშვილი საერთოდ ცხოვრების უკუღმართობასთან მებრძოლი მგოსანია და ხუნდაძესაც ამ გარემოებისთვის უნდა გაესვა განსაკუთრებული ხაზი. წიგნაკის მე 19-ტე გვერდის უკანასკნელი სტრიქონები ძალიან შორს არის სინამდვილესთან და რუსულად რომ ვსთქვათ „на тяжка“ გახლავსთ. ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ჩვენს ავტორს „ბედი ქართლისა“ ზოგიერთ ადგილის გარჩევაში; ბ. სილოვანის სიტყვით „პოემიდან ცხადად სჩანს, რომ ბარათაშვილის თანაგრძნობა სოლომონ მსაჯულისა და სოფიოს მხარეზეა“, ნამდვილად კი ეს ასე არაა, ავტორი სრულებით არ ეთანხმება მსაჯულს, სოფიოს შესახებ კი ეს მართალია. საქმე იმაშია, რომ თითონ მსაჯულსაც კი არ ჰქონდა პოემის მიხედვით გარკვეული გზა და არ იცოდა როგორ ემოქმედნა. ქსნის ხეობაში აი რა ფიქრებს ეძლევა მსაჯული: მადლობა ღმერთო შენს განგებას, რომ ერთ კაცს მომადლე ყოველი ძალა და მისს ერთ სიტყვას მთელი სახელმწიფო მონებს:

„მაგრამ შენ მეფევ, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუზოგო შენს ყმათ ცხოვრება...
შენ ერმა მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაეცვა ყოფა-ცხოვრება
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის?

პირველათ სოლომონის სიტყვებიდან სჩანდა, რომ მეფე იყო დანიშნული „წყალობითა ღვთისათა“, ბოლოში გამოდის, რომ დანიშნულია „წყალობითა ხალხისათა“.

„მაგრამ ვინ იცის, იგი იქნება
უკეთ ფიქრობდეს რაც გვეჭირვება
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვს მეფისას
გონება ყმათა ვერა მიხვდების?

ეს სიტყვები კიდევ უფრო ნათელს ყოფენ სოლომონის გაურკვევლობას და ორჭოფობას ავტორიც ასეთ მდგომარეობაშია და არ იცის მოიწონოს თუ დაგმოს მეფის გადაწყვეტილება. ამ საკითხში ავტორის გაურკვევლობას კიტა აბაშიძეც კი აღნიშნავს. (იხ. მისი ეტიუდების ტ. I 93 და 95 გვ.).

ხუნდაძის სიტყვით ბარათაშვილი რომანტიკოსია, მაგრამ ხაზ გასმული კი არ არის ის გარემოება თუ რა გვარი ტიპის რომანტიკოსია ჩვენი მგოსანი—ცხოვრების უარისმყოფელი და მთელი წარსულის მოტრფიალე შატობრიანივით თუ ბაირონივით სიდუხჭირესთან მებრძოლი. მარტო ბაირონის ხმარება კითხვას ვერ არკვევს ნათლად.

სახელმძღვანელოს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ შესაფერად არ არის ბარათაშვილის დრო დახასიათებული, არ არის გაშუქებული როგორც ჩვენი, ისე ევროპის მაშინდელი მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ბარათაშვილის ნაღვლიანობის და ბაირონის გავლენის მიზეზი უფრო ნათელი იქნებოდა. ვარლამ ხუროძე.

# „ფრონტის დღის“ ანგარიში

(გაგრძელება, იხილეთ „ერთობის“ №№ 181, 190, 195).

1) მანგლისის გვარდიის რაიონულ შტაბისაგან „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 2500 მ.

2) გერმანიიდან ჩამოსულ სამხედრო ტყვეებისაგან გერმანული მარკებით—259 მარკა.

3) სურამის ს.-დემ. ორგანიზაციიდან სარდიონ მამალაძის ხელით მივიღეთ „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 4181 მ.

4) თფილისის ერობის გამგეობიდან „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ სახელმწიფო ბანკის ჩეკი № 3320 5000 მ. ღირებული.

5) თფილისის ადმინისტრაციის მოსამსახურეთაგან მივიღეთ „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 618 მ.

6) თფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მოხელეთაგან მივიღეთ „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 883 მ.

7) თფილისის ერობის გამგეობის მოსამსახურეთაგან მივიღეთ „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 2305 მ.

8) თფილისის ერობის გამგეობის წევრებისაგან მივიღეთ „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ 666 მ 68 კ.

9) გარეთ კახეთის საგარეჯოს დრამატიულ საზოგადოებისაგან „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ იასონ მეტრეველის ხელით მივიღეთ 2397 მ.

10) იოსებ კალანდაძის მიერ შეგროვილი ერთობის უბნის შტაბის დავალებით „ფრონტის დღის“ სასარგებლოთ შემოსწირეს 4541 მ.

(გაგრძელება იქნება)

# წერ. რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

ქვემორე ჩამოთვლილნი პირნი კარგად არიან და იმყოფებიან ადესაში. ელიან წამოსვლის ნებართვის მიღებას, რომლის შემდეგ საქართველოს ადესის გენერალურ კონსულთან ერთად პირველივე გემით გამოემგზავრებიან: დათიკაშვილი ბ. (გადასახლებული), შავგულიძე ავ., რამიშვილი შალვა მეუღლით, ცინცაძე ილია მეუღლით, ასმაბაძე მეუღლით (ექიმი), კიკნაძე დ., აბაშიძე რევაზ, ბოკუჩავა დორეფეი, მუჯირი ლუკა, ნემსაძე (სტუდენტი), ბითაშვილი, ნანიშვილი.

სამხედრო ტყვეები: არუთინოვი გ., ბახტაძე ტერენტი, გაბუნია ილ., გერგაია ივ., გულიშვილი დ., გზირიშვილი გ., დიმიტრაშვილი ვ, ჯულაკიძე ალ., ჯულაკიძე გ., გალუსტოვ ნიკ., კოპაძე ლუკა, კაჭარავა ვ., კვინტაძე დ., კორხელაური ვ., კრასნოვ ვლ., ქუთათელაძე ვ., ქუთათელაძე სერგო, კუპარაშვილი გიორგი, კუქუხაძე ელეფ, გაჯაია ლავ., კურიევ გ., კალმიკოვი ნ., კიკალაშვილი გ., კრაკოვნი ივ., ლორია ევს., ნევსურიძე ევ, ლევიენ ლ. მეუღლით, მაყაშვილი არტემ, მალაყელიძე სერ, მელიქაძე ვლ., მატარაძე ლუკა, მიმინოშვილი ტრ., მიმინოშვილი ვას. მეუღლით, ოქროსაშვილი შ., პრიძე ტარასი., პაპინაშვილი გრ., პროხოროვსკი იური, სვანიძე, სტეფანიძე მ., სტეფანენკო შაქრ., ტუვლიშვილი შაქრო, ტამაგარი ვ., შოკოროვ მათე, ბეროზაშვილი ბ., შახნაზოვ არტ., შონია ილ., ჩხაიძე მიხ., მჭედლიშვილი მოსე, ჩოგუნოვი კონსტ., ვერულაშვილი მ., ვაჭარაძე ვიქ., იობაია მალაქია, ილიაური ივ., გზიავა გალაქტიონ, ტანჯალია შაქრო, ასლამაზიშვილი შაქრო, ჩუგლიშვილი ვლ., ჩინოშვილი კონსტ., ცქვიტინიძე მიხ., ცერაშვილი ყარამან, ჩხაიძე ნ., ნელიძე ელექია, ნიშნიაძე შალვა.

პროვინციელ გამოცემებს ვსთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდონ.

უკრაინაში მყოფ საქართ. ეკონომიურ კომისიის წევრი მ. ბიბინეიშვილი.

---

**ბ-ნ „ნიავს“.**

გაზ. „ერთობის“ 210 ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი, შესახებ სენაკის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგემ მ. თათარიშვილი და მასწავლებელთა შორის არსებული უთანხმოებისა. რადგანაც წერილში აღნიშნული ფაქტები სავსებით დაშორებულია საქმის ნამდვილ ვითარებას და ცილს გვწამებ, თითქოს ჩვენ გაურბოდით გამოძიებას და საქმის გამოურკვევლად მოვითხოვდით გამგის დათხოვნას, ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სამართალში. გაძლევთ წერილის დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადას მედიატორების დასასახელებლად. ჩვენის მხრით მედიატორეებათ ვასახელებთ: რაჟდენ გამსახურდიას, ილიკო ხაჟომიას და აქვს. კობახიძეს.

სენაკის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლები: ვ. ფარულავა-ლამხუახი, გ. ცომაია, ნ. ანჯაფარიძე, ვ. ღვამიჩავა, შ. გეგენავა.

---

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ალაგი დაუთმოთ შემდეგ წერილს:

მეორე სანაპირო ფოთის რაზმის ჯარისკაცთა სამკითხველოს სასარგებლოთ გამგეობამ მიიღო შემოწირულება შემდეგი პირებისაგან: 1) ქ-ნ მათიკო ქიქოძის ასულისაგან შეგროვილი თავის ნაცნობებში 250 მ. 50 კაპ., 2) კაპიტან ვარლამ ქარცივაძისაგან 581 მან., 3) ფოთის ხელოსანთა კავშირის თავმჯდომარე თენიეშვილისაგან 150 მ. და ამავე რაზმის ჯარისკაცი გაბო აბაშიძისაგან 95 მან. სულ 1076 მან. 50 კ., რისთვისაც სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ზემოაღნიშნულ პირთ და აგრეთვე შემომწირველთ.

სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე მირიან მგელაძე.

მდივანი ნ. ქავთარაძე.

---

ქ-ნმა სოფიო სარაჯიშვილი ამ და მარიამ ჩოლოყაშვილმა შემოსწირეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას განსვენებულ ალექსანდრე სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად და თანახმად მისი სურვილისა, რომელიც მან გამოსთქვა სიცოცხლის დროს, 56 რუსული და გერმანული წიგნი. პალატის წიგნთ-საცავში დაარსებულ იქნება ცალკე განყოფილება განსვენებულის ალექსანდრე სარაჯიშვილის სახელისა. პალატის კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ ქ-ნ სოფიო სარაჯიშვილისას და მარიამ ჩოლოყაშვილს.

პალატის კომიტეტი.

# თეატრი და მუსიკა

კონცერტი 28 სექტემბერს ქართულ კლუბში გამართულ იქნა საღამო-სეირნობა სამხედრო ტაძრის გუნდის საშუალებათა გასაძლიერებლად. მონაწილეობას იღებდა თფილისის სახალხო გვარდიის ორკესტრი კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის და ვ. მიზანდარის ხელმძღვანელობით, სამხედრო ტაძრის გუნდი და ალ. მაისურაძის საყარაულო რაზმის ჯარისკაცთა მომღერალთა გუნდი, საამური ყურადსაღებები იყო ფოცხვერაშვილის: „ლაშქრული“, „ვარიანტი“, „ამირანი“ და სხვა, შემდეგ ამისა კალანდაძის ხელმძღვანელობით სამხედრო ტაძრის გუნდმა შეასრულა რამდენიმე საეკლესიო საგალობლები, დაბოლოს ბ. ალ. მაისურაძის ლოტბარობით სამხედრო საყარაულო რაზმის ჯარისკაცთა გუნდმა გამართა კონცერტი, რამაც ხალხი დაატკბო ხალხური სიმღერებით. კარგი იყო: „ბერი კაცი“, „ზამთარი“, „მაყვარს ფაცხა“ და ალ. მაისურაძის სიმღერა: „აჰ-რთუვ ხშირად“, რომელსაც ასრულებდნენ: შ. მოლაშვილი, შ. საჯაძე ა გოცირიძე. ამის შემდეგ ჯარისკაცმა ეგოროშვილმა მკვნესარე ხმით დაამღერა ფანდურს „ომში წასულ ჯარისკაცის სიმღერიდან“, რომელიც ორჯერ გაამეორებინეს. დასასრულ ჯარისკაცებმა შეასრულეს სიმღერები და ლეკური. სასურველი იქნებოდა ალ. მაისურაძე უფრო მეტი ენერგიით მოეკიდოს ამ საქმეს, რომ უფრო კარგი ნაყოფი გამოიღოს მისმა მუშაობამ. დუშელი.

# ჩვენი ფოსტა

**ნიგოითი. ხტ. ნიკოლაიშვილს.** რედაქციას არ მიუღია გურიის მასწავლებელთა ყრილობის ანგარიში.

ერმილე მაჭხიმეს ძე სულავას. შემოიარეთ რედაქციაში.

**სამტრედია—მარნის საზ. კოოპერატივს „კავშირს“.** მივიღეთ 500 მან. გვაცნობეთ დანიშნულება.

**სამტრედია—სამსონ პაპავას.** სამგლოვიარო განცხადება არ დაიბეჭდა, რადგან ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ ფულს.

**ქ. ფოთი—ივანე მამალაძეს.** სამგლოვიარო განცხადება არ დაიბეჭდა, რადგან ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ განცხ. ფულს.

# ცნობები

1918 წ. ბათუმზე შეტევის დროს უგზო-უკვლოთ დაიკარგნენ 1-ქართ. პოლკის მე 12 როტის ჯარისკაცები: ფრანგიშვილები იულონ და ვარლამ ივანეს ძენი, გეგელია ბესარიონ ფილიპეს ძე, გეგელია ისიდორე პეტრეს ძე, (სამიქაოს საზ.), მარნის საზ. მცხოვრებნი: თელია ალექსანდრე გერასიმეს ძე, პიტავა ერმილე თედორეს ძე. თუ ვინმემ რამე იცის მათ შესახებ მშობლები სთხოვენ აცნობონ დ. აბაშაში, გვარდიის შტაბის სახელზე.


# განცხადებანი

## იყიდება

გურიაში ჩიბათის საზოგადოების სოფელ ლესაში ოდა-სახლი ოთხი თვალი, ოთხი ბუხრით, ქვის ბოკვნებზე, უკან დიდი ფანჩატურით, მარსელის კრამიტით დახურული. პირობების გაგება ადგილობრივათ და ბათუმში თბილისის ქუჩაზე № 36 დავით კუნჭულიასთან (4—4)

## ცეკვის კურსები

მე 27 დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის. ქ. № 101. (4-3)

## იყიდება

პატარა საწვრილმანო დუქანი

პეტრე დიდის ქუჩაზე სახლი № 28-ში. (2545—2—2)

რაჭა, ნიკორწმინდის უმ. დ. სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ ამავე სასწავლებლისთვის არის საჭირო

## გამოცდილი პედაგოგი

გამგის თანამდებობაზე. მისამართი: წესი—ს. ნიკორწმინდის უმ. დ. სასწავლებლის პედ. საბჭოს. (2535.—1—1)

დოქტორი მ. ბოლქვაძე.

თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

დოქტორი ი. ე. ზამბახიძე.

სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ № 12 ტელეფონი 16—82.

## განცხადება

შინა მრეწველობის განყოფილებას სურს მოიწვიოს ინსტრუქტორი ან გამოცდილი მოხელე კალათების და ბამბუკის მასალის დამუშავების მცოდნე (инструкторъ по карзиноплетенію) ქ. გორის შკოლისათვის ხელმძღვანელად. პირობები სამსახურის შესახებ შეიტყობა შინა-მრეწველობის გამგესთან. თფილისი—მუშტაიდი. (2572—1—1)

## ქართული ლატარია

სრული ერთი თვე ლა დარჩა ლატარიის გათამაშებამდინ. დაეჩქარეთ ბილეთების ყიდვას.

უნივერსიტეტის და თეატრის აშენებით ჩვენ გადავდგამთ დიდ ნაბიჯს პროგრესისკენ, განათლებისკენ.

ვისაც უყვარს მეცნიერება და ხელოვნება ის ლატარიის ბილეთებს შეიძენს. (6.—1—1)

ექიმი ნ. [illegible]

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და საზებით სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის [illegible]

კბილის ექიმი

[illegible]

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ი. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროშეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ბესარიონ ჩაჩავა

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ა. ნ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ს. მ. მუხაძე.

დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი დ. ნ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

ექიმი ს. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ნ. ბ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილით 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—2[illegible]

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. შ. [illegible]

ქალისა და საღოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სოლნოიდი და არსენვალი. ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიგებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ბ. დ. [illegible]

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—[illegible] ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

ექიმი დ. ბ. [illegible]

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—[illegible] საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65


ეროვნული ბიბლიოთეკა